ირმა თხინვალელი

ნეოლიბერალური ფინანსსმოგონიები

თბილისი - 2016

ირმა თხინვალელი:
რეალისტური ფანტასმაგორიები
ლექსები და ჩანახატები
გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი. 2016.
გვ. 112.

რედაქტორი – სერგი ლომაძე

ტექნიკური
რედაქტორი – ლევან ბოჭორიშვილი
მხატვარი – ნატო სირბილაძე

© ირმა თხინვალელი
© „ივერიონი“

ISBN - 978-9941-0-8564-2

რედაქტორისგან

„რეალისტური ფანტასმაგორიები“ ირმა თხინვალელის მეორე წიგნია... თუ მისი შემოქმედების ხაზს მთლიანობაში შევხედავთ, სახეზეა ავტორის საგრძნობი პროგრესი... ამ პოეტური ნაშრომით ირმა მკითხველის წინაშე წარსდგა, როგორც განსხვავებული პოეტი, ამასთან, საინტერესო ხელოვანიც!

არაერთხელ მითქვამს: თუ ადამიანი ხელოვანია, შემოქმედია, ის ყოველთვის სიახლეს გვთავაზობს, თავისებური ელფერი და მრავალფეროვნება შემოაქვს... იგივე შეიძლება, ითქვას ირმა თხინვალელზე და მის ნაშრომზე...

კრებული პირობითად შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს: ჩანახატებად და ლექსებად. ორივე ნაწილი პოეტურია, გამართულად, დიდებულად შექმნილ-აგებული. ამ პოეტური ჩანაწერების წაკითხვამ იმაშიც დამარწმუნა, რომ ავტორში არის რომანისტის პოტენციალი. პირადად მე დიდი ინტერესით დავუცდი მის „პოეტურად პროზაულ“ რომანებს, რომელთაც, ალბათ, მალე შემოგვთავაზებს. მის პროზაულ ჩანაწერებში, რომელიც ნოველებადაც შეიძლება აღვიქვათ, ავტორი გარ-

კვეულ სიღრმეებს წვდება და ურთულეს ადამიანურ პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას.

დიდ სირთულეს – წიგნის შენება-შექმნას, უკვე მეორედ შეეჭიდა ავტორი. ვფიქრობ, უფრო წარმატებით დააგვირგვინა იგი. ადამიანს საერთოდ ნებისმიერ თემაზე შეუძლია, სულ სხვადასხვაგვარად წეროს. ირმას თემები ნამდვილად არ ელევა – ამიტომაც არის მისი წიგნი ასე მრავალმხრივი, ამასთან, ნაღდიც. ლექსში „რეალისტური ფანტასმაგორიები-2“, განმაცვიფრა ნაწერის არა მარტო სილამაზემ, არამედ პოეტის განცდათა სიღრმემ, ასევე თავისებურმა ფილოსოფიურობამ. რაც შეეხება ლექსს „კონგენიალურობის მისტერია-2“ , ეს ახლებური ხედვაა – თეთრისა და წითელის მეტაფორული მუსიკა, ერთ სტროფში ჩაწნულ-ჩაწურული და მერე პოეტური საწნახელიდან ლექსის ორფეროვან (თუ-მრავალფეროვან) პეპლად ამოფრენილი...

ასევე, არ შემიძლია, არ წარმოგიდგინოთ ამ წიგნში შესული ერთი პატარა ლექსი, რომელიც დიდ პოეტურ აზროვნებამდე მაღლდება... ესაა ოქროსფერი ხილვა, სიზმარ-ცხადი, რომელიც დიად წამს მაგონებს,... სიზმართა სივრცის მარადისობაში გაქვავებულ წამს-უსასრულობის ბადალს:

მთვარის სიზმარი

ვნებების ღამეს
მხნე ქალწულები
სხეულებზე იხატავენ
ოქროსფერ ხალებს...
ფეხის გულებით
ეხებიან ანთებულ მთვარეს...
და ნატიფ ტანებს
უშიშვლებენ მნათობის ელვას...
კვლავ შეუპყრია ვნებათა ღელვას
მთვარის რაინდთა მთავარი დასის
უკანასკნელი პერფორმანსი...

გულწრფელად ვულოცავ ირმას ახალი პოეტური კრებულის დაბადებას, არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვი, რომ იგი ნამდვილი პოეტია და სიტყვებით შეუძლია „ხატვა“ ყველაფ-რის – მათ შორის, საოცრად მშვენიერი პოეტური სურათებისაც...

სერგი ლომაძე

პოეტი, ჯგუფი
„ზღვარის“ წევრი. 2016 წ.

კონგენიალურობის მისტერია-2

იმ დღეს მე ცალი ხელთათმანი დავკარგე... ცრიდა,..
როცა წითელი ვარდის ფურცლებს ხიდიდან ვყრიდი...
შენ ეყრდნობოდი საკურთხეველს ამაყად, მშვიდად
და თეთრი კაბის მისტერიას წითელზე ცვლიდი...

2014 წ.

* * *

მე პირველქმნილთან შეხება მაკრთობს
შენი თითებით...
კვლავ ერთგულებას შევპირდები
ზეციურ სატრფოს,...
დედამიწაზე კი მხოლოდ და მხოლოდ შენი ვიქნები...

2015 წ.

რეალისტური ფანტასმაგორიები-3

(TO EMILY DICKINSON)

და სულ ერთ წამში განივთებულ განცდათა სიღრმეს
ღამე ვერ იტევს...
მესალბუნება
ისევ და ისევ
მე შეცნობილი წამის სიცხადე...
და ხორცშესხმული
სასწაულის,
ვყვები, ცდუნებას...
„მარადისობა“ თავის ჩამოქნილ, „გრანიტის ბაგეს“
ათრთოლებულ სხეულზე მახებს...
ჩემს გამჭვირვალე მკერდქვეშ ელავს „ადამის ნეკნი“,
ბროლივით თეთრი...

2016 წ.

რეალისტური ფანტასმაგორიები-2

ისევ პულსირებს ძარღვებში ღამე...
და მე...
ვხუჭავ თვალებს...
***
და ჩემს ზურგს უკან,
თითქოს შორს... და თითქოს ახლოს...
ლანდადქცეული ქალაქების,
ფეთქავს, უდაბნო...
დაჟანგებული საათების
ველური სუნთქვა
წამებს მაყინავს სხეულზე ურცხვად...
შეჩერებული წამი სულს აკრთობს...
და ენისლება თვალები აწმყოს,...
ზედროულია მისი მზერა,...
მეტალებს სერავს,...
მეტალებს ადნობს
ქვიშიანი ციფერბლატების...
უსაგნო არის დროის შეგრძნება...
და, მაინც, ტანში გამჭოლია...
ვიწყებ ფორიაქს...
აჩქარებული მაჯისცემა
წამით ეხება

გაყინულ აწმყოს ...
და ზედროული საათების
რიტმს აჰყოლია...
იქ, სადღაც შორს და სადღაც ახლოს
უხილავი, ფეთქავს, უდაბნო...
***
და მე...
არ ვახელ თვალებს...
ძარღვებში ისევ პულსირებს ღამე...

2015 წ.

სცენები არშემდგარი პიესებიდან

(უხილავი დიალოგის სცენა)

– „ბრმა სიამაყე“ კედელ-კედელ
ხელის ცეცებით
წინ მიიწევს და თოკის მარყუჟს ებღაუჭება...
ყინულის კეფა
მარყუჟში დნება...
მლაშე ცრემლებით
გალუმპულებს,
ვიღაც აგროვებს დუმილის წუთებს...
და მერე არქმევს საუკუნეს...
სრულდება სცენა...

– არავინ კვდება?...
– არც დაცემაა, არც ამაღლება...
– სად არის შვება?
– თავდავიწყების მცდელობაა, მემილიონე!...
– ეს დიალოგიც პიესისთვის გამოიგონე?...

2015 წ.

მე ისევ მიხმობს ლურჯი მდინარე

კვლავ ვეხეთქები ჩემი ტვინის დახშულ
უნარებს...
ცივი გონების საზღვრებს, მდუმარეს,
ექსტაზში ვადგენ...
მე ისევ მიხმობს ლურჯი მდინარე...
და სასწაულებს
შევიგრძნობ ზღვარზე...
იქ უნდა დავდგე,...
სადაც სხეულთა
გამოფიტულ, თალხ საწყაულებს
დღესასწაულთა
სილურჯე ავსებს...

2015 წ.

ალუზიები-2

გალაკტიონის ედგარ ალან პო...
ღამემ გამაპო
მე ნახევრებად...
ორნი გვაქცია
წამის მძევლებად...
***
როს მშვილდ-ისრებით დასერეს ზეცა,
ვით სებასტიან,...
მე ცის ნაფლეთი ტანზე მომეცვა...
და ნაისრალი მკერდზე მატყვია...

2015 წ.

ინსცენირებები „POSTMODERN“ -ის სტილში

„ბრმა სიამაყე“ თავშესაფარს დაეძებს ფარსში
ერთ მივიწყებულ პიესაში...
***
გახსოვს, ჩვენ მაშინ
ღია ცის ქვეშ, წვიმაში, ქარში,
ამ პიესიდან სცენებს რომ ვდგამდით?

ქვაფენილებზე გულების წასვლით,
ალესილ ქვებზე ტერფების ათლით,
ხიდიდან ვარდნით...
***
– ვერ გამიგია, ამ თამაშის, რა იყო, არსი!...
– თქვენ ხომ ამ დადგმებს რეალობად
აღიქვამდით,
გჯეროდათ ფარსის!...
– ო, იმ „წამებით“ ჩვენ, მართლაც, დავტკბით!...

2014 წ.

ვირტუალური ასოციაციები

მწველი სიშიშვლე
ისევ აპობს ყინულის ლოდებს...
სევდას, ქვიშისფერს,
აცამტვერებს,..
ზვირთებად მოსდევს...
მე ეს ნაპირი კვლავ მახსენებს
შელლის და ბოდლერს...

2008 წ.

„POSTMODERN“-ისტული ქრონიკებიდან

(სურათი № 2)

დრო ისევ დაძრწის
ტკივილების არგაყუჩებით
გაცრილ
ქუჩებში...
გადაყვლეფილი, სველი მუხლები
შეიგრძნობენ ბასრ ქვაფენილებს...
გარდაცვლილ სიზმრებს,
ჩაკირულებს ტლანქი თითებით,
ხელახლა კლავენ...
და ზედროული განდიდებით
კვლავ იკრებს
ძალებს
მარადიული დავიწყების
დღესასწაული
ჩუმი ხმაურით...

2015 წ.

მე მებრალება ის ნაზი ტოტი

მე მებრალება ის ნაზი ტოტი,
რომ გამოისხა ათასი ყლორტი...
(ამპარტავნებამ იძალა მასში უფრო და უფრო)
და როგორც უცხოს,
ტანის სიმძიმეს ვერ გაუძლო...
ჩამოტყდა ტოტი...
ცოდვას გაექცა, დაიხუნძლა ათასი ცოდვით...

2014 წ.

ერთგულთა ღამეს

(ღამის აპოთეოზი)

მარტოსულსა და მდუმარე ღამეს,
როცა მკრთალ ზეცას ერთგული მთვარე
კრძალვით მიაბნევს ოქროს პირბადეს,..
მხნე ქალწულები
ერთგულების
სასმისებს სვამენ...
მათ გულისცემას მდუმარებით
ყურს უგდებს ღამე...
მერე კი ცაზე
ერთგული მთვარე
ოქროსფერ რკალებს
მიმოაბნევს...
ოქროს ბეჭდებად გადააქცევს...
იმ ქალწულებს უწილადებს,
ვინც სასთუმალთან ერთგულება
შეჰფიცეს ღამეს...

2005 წ.

სცენები აბსურდების თეატრიდან

სცენა №1
(უკანასკნელი პაემანი)

დაბინდულ სარკეს გაანათებს
ღამის ბინდ-ბუნდი...
დამტვერილ მინას დააჩნდება
ფორმები ტუჩის...
ვიღაცა ბნელში გზას გაიკვლევს
ხელის ცეცებით...
ცხარე ცრემლებით
დაასველებს გაცრეცილ მუნდირს...

სცენა №2
მონაზონთა თეთრი გუნდი
მიათრევდა ვაგაბუნდის
ცისფერ მუნდირს...

სცენა №3
ზღვის ტალღები ირეოდა გაშლილ თმებში...
– შე საბრალოვ, შხამი შესვი? –
დასტიროდა ვიღაც შეშლილს...

2012-2013 წ.წ.

ყინვა კვლავ ცვლიდა დეკორაციებს

ყინვა ურჩევდა ჩემს ფანჯრის მინებს
დეკორაციებს...
და აცოცხლებდა უცნაურად მოცეკვავე
ცისფერ გრაციებს...
მე ვეძლეოდი ჩემს ფანტაზიებს...
დირიჟორივით ხელი ავწიე,...
და უცნაურად დავუქნიე
გარეთ, თოვაში მოსეირნე
უცნობ ყმაწვილებს...
მათ კი დამცინეს...
თოვლის გუნდები დამიშინეს...
თითქმის დამცხრილეს...
და რას ერჩოდნენ მინებზე ლაღად მოცეკვავე
ყინვის გრაციებს?...
ყინვა კვლავ ცვლიდა დეკორაციებს...

2015 წ.

ცარიელი დღიურებიდან

(პრელუდია)

ჩასძინებოდათ ცხელ ქვიშებში გზააბნეულებს....
და იყო ერთი საოცარი სიზმარის ხილვა...
ზამთრის სუსხიან გარიჟრაჟზე შიშველ სხეულებს
ვარდის ფურცლები დაეფინა თოვლის მაგივრად...

2006 წ.

* * *

ჩვენ ხომ ორივეს მოსჯილი გვაქვს
განახევრება
კაცად და ქალად...
არგაჩერებაც,
როცა ორივე მარტოობის დილეგებს
ვამსხვრევთ...
ისევ აგვიგდეს, ალბათ, მასხარად,
რომ აღუვსებელ საწყაულებს,
დუმილით სავსეს,
მხრებით დავათრევთ
მთასა და ბარად...

2013 წ.

რეალისტური ფანტასმაგორიები-4

(ეძღვნება P. B. S.-ს, პოეტს, რომელიც 1822 წელს თავის ხომალდთან ერთად ხმელთაშუა ზღვაში ჩაიძირა...)

და ღამეულთა უცხადესი ხილვების წყება
ისევ იწყება...
***
სადღაც, შორეულ ნაპირთან ახლოს
ტალღებს მიაპობს
განწირული ხომალდის
ლანდი...
ვიღაც დანისლულ გემბანზე დადის...
და ოხრავს ფსკერი:
ა რ ი ე ლ ი...
მკვდარი გემების, ჟღერს, პულსაცია...
მიახლოვდება ვიწრო ნაპირით,
თეთრი აჩრდილი,...
თავს დასტრიალებს დაფერფლილი სხეულის
მტვერი...
და ხელისგულზე ადნება გული, ცრემლებით
სველი...
თალხი ფერების გრადაცია
უჩრდილავს სახეს...

მე ვხუჭავ თვალებს...
ყურში ჩამესმის: ა რ ი ე ლ ი...
მთელი არსებით
ვგრძნობ მის შეხებას...
გუმანით ვხვდები,
რომ ნაცნობია ეს სილუეტი...
და გაიელვა ჩემს თვალწინ სახემ,
მკვდარი პოეტის...
მეხება
თმაზე
სინაზით სავსე,
ნატიფი ხელით
უკვდავი შელლი...
***
და მამაც შელლის
თავის ხომალდი – „არიელი“
ზეცაში ელის...

2016 წ.

ნიღბების კოლექციონერი

ჩემს ძველისძველ სარკეში მწვევია მრავალგზის
მე ერთი ცოდვილი
პროფილით,
ლამაზით...
დღედაღამ ნიღბების ნამსხვრევებს
ამთელებს...
რომ შეაკოწიწებს,
ჩემს თვალწინ მოირგებს...
და მზერას ატყვევებს
სახის ჰარმონია...
ო, როგორ ამხნევებს,
ნიღაბი მე მისი სახე რომ მგონია!..

2013 წ.

ნისლი განგიქარვებს...

წარმავლობის ბინდში
გაეხვია მთვარე...
უსასრულო ფიქრში
დაილია ღამე...
ვიცი, სული ბორგავს...
ყველაფერი გბოჭავს...
ამ უაზრო ყოფნას
განგიქარვებს ნისლი...
ვიღაც წამებს ითვლის...
ვიღაც ტყვიას ისვრის...
დაინახე სისხლი?
გაიფანტა ნისლი...

2004წ.

ალუზიები

ნეგატივებში ფერთა ხედვის ანომალია
უფერადესი სიზმრის ბრალია...
„ჯადოსნურ მთაზე“ იმართება „სატურნალია“...
დრომ უსწრაფესად სული დალია...

2015 წ.

და წარმავლობის
გამჭვირვალე ფერთა გამებში...

(მისტერიები-2)

და წარმავლობის გამჭვირვალე ფერთა გამებში
დრო იფანტება
ქვიშის მარცვლებად,
წამებად,... წლებად...
მხნე გილგამეში,
ხელაპყრობილი ვნების ღამეში,
სიბრძნის ქალღმერთს ესაუბრება,...
როცა ქალღმერთი
სველ განთიადებს,
მკვდრადშობილებს
ქვიშის წამებში,
როგორც ცოდვილებს,
მკერდს შეახებს,...
აუხელს თვალებს,..
ზეცის შვილებად აღიარებს...
და გილგამეში
ახლადმოვლენილ განთიადებს
უმზერს თვალებში...
ფერის მიხედვით სახელებს არქმევს...
***

ზეცა წყვდიადებს
აგანთიადებს
წარმავალობის გამჭვირვალე ფერთა გამებში...

2015 წ.

რემინისცენციები

(ჩაკეტილი წრეები)

დროის მორევი ნავსაყუდელს
ნაპირებს აცლის
და ოცნებები ემსგავსება
სტრიქონებს წაშლილს...
დრო გარდასული ირეკლება
ხედებში სარკის...
აუხდენელი მომავალი
წარსულში გარბის...
***
კვლავ ირეკლება სარკეებში
აწ გარდასული...
წრეებად შეკრა მომავალმა
ჩემი წარსული...

2009 წ.

დაუსრულებელი „NOCTURNE“ -ებიდან

ცელქი თითები პირუეტებით
დასთამაშებენ ნაცნობ კონტურებს...
და შუაღამის გამჭვირვალე სილუეტები
მაგონებენ მუცლით ორსულებს...
ღამე ორსულობს...
ღამე ორგულობს...
ვერ შობილან განთიადები...
თავის ანარეკლს ვერსად პოულობს
ზეცის სარკეში
ჩაძირული ცისკრის ნაფლეთი...

2015 წ.

ჰიპერტროფირებული ატროფია

მიძინებული გულების ფლეთა
დაუცხრომელი ჟინით, ცხოველით...
მარტოსულობის ბორკილთა მსხვრევა
არარსებული, მკვდარი გრძნობებით...
აბსურდულობის მთელი სიცხადე,..
ეგოცენტრული სიბრმავე თვალთა,..
ამ აღუვსებელ საწყაულს რომ ვავსებ პირამდე,
სხვა რამ თუ დამრჩა?!...

2004წ.

რეინკარნაციების გადაკვეთაზე

მე იმ სალოსის წრფელი სიგიჟე
ახლაც მაგიჟებს...
ისევ მიქარწყლებს სიკვდილის შიშებს...
არ გამოფხიზლდეს!...
არ გამოფხიზლდეს!...
სანთლის ნაღვენთში კვლავ აწობს თითებს
და ძერწავს თვალებს...
სწორედ, იმ თვალებს,
ცხელი შანთებით რომ დასთხარეს
ხუთასი წლის წინ...

ის, ალბათ, მაშინ გამუდმებით ითვლიდა წამებს
სიკვდილზე ფიქრში...
ყინავდა ღამეს
ცრემლი და სისხლი...
და გაქვავებულ სახეთა ნისლში
ის ახლაც ითვლის
იმ ცხელი სისხლით
გაყინულ წამებს...
ის ახლაც ითვლის...

2015 წ.

აბსურდების კორიანტელი

(რემინისცენციები)

მიუსაფარი თავშესაფარს როცა ეძებდა,...
როს დავრდომილი, ძირს გართხმული,
მუხლებს იყვლეფდა,...
სასოწარკვეთილს სასოება როს წარეკვეთა,...
როცა გულები უმანკოთა ცოდვილებმა
გაიღეს მსხვერპლად,...
მაშინ მომასკდა აბსურდების კორიანტელი
და მე ვ ი გ რ ძ ე ნ ი :
რა მსუბუქია ეს სიმძიმე წამის ყოველის!..

რა განცხრომაა სიმწარით ტკბობა!..
რა ადვილია უსახურთა ხროვაში პოვნა
ფერწასული ანგელოზების,
როცა ისინი გარდაცვლილებს გულებს აცლიან!..

2004 წ.

თოვლის პრელუდია

ქათქათა თოვლი დაეფინა ფრესკას ღიმილად...
გადახსნილ გუმბათს ესალბუნა თბილი სისოვლე...
და ახლა, როცა თავად არსებობა მექცა ტკივილად,
მე ამ ტკივილებს აღარ ვიშორებ,..
რადგანაც ძლიერ მხიბლავს სიშორე
დანისლულ ჯვარზე არეკლილი უმანკო სხივის...
მიყუჩებს ტკივილს
თოვლის სისოვლე...
თოვლის სისოვლე
მიყუჩებს ტკივილს...

2013 წ.

თეთრისა და შავის ექსცენტრიული "გრადაციები"

ღამენათევი ოთახის ბნელში
ვიწრო სარკმელში
შემოჭრილმა,
დილის მზის სხივმა
კედლის სურათზე, გამჭვირვალე პირბადის მიღმა
ვნების თვალები ააციმციმა...
და შავ-თეთრ ფონზე გაანათა სახება
ქალის,
იდუმალის...
მწველი ზმანება
იმზირება
გამყინავად, გამჭოლად ტანის...
შეიპყრო ვნებამ
ჩუმი ჭიდილი თეთრის და შავის...

2014 წ.

ჩემი დასაწყისის დასაწყისი

(რეფლექსიები)

უსასრულობის ხაზი
შემოერკალა ნაპირს,...
პარალელური გზების
გზაჯვარედინზე გადის...

უსასრულობის ხაზი
შემოესალტა სივრცეს,...
ჩემს ხელისგულზე გაშლილ
გზაჯვარედინებს მისდევს...

2010 წ.

ცარიელი დღიურებიდან-3

მახსოვს, შენ ერთხელ
უცაბედად ატეხილ ქარში,
ბნელ ბილიკებზე
გაუჩინარდი...
მარტო დამტოვე...
გაყინულ მხრებზე
შემატოვე

შენი პიჯაკი...
და მე მის პეტლზე
მივაბნიე დამჭკნარი ვარდი,...
იმის ნიშნად, რომ აღარ გიყვარდი...

2014 წ.

კონგენიალურობის მისტერია-1

(კოლექციონერი)

წვიმა ისევ რომ დასდიოდა მტვრიან კლავიშებს
ღია სარკმლიდან,
შენს ნათითურებს როიალზე, ალბათ, წაშლიდა...
გული, რომელიც აქ დატოვე,
ისევ არ მიშვებს
შენი სახლიდან,
ასი წლის წინ რომ მიატოვე...
***
წვიმა კვლავ ისვრის შხეფებს სარკმლიდან...
ისევ დავიწყებ ათვლას თავიდან...
გადამავიწყდა...
ეს მერამდენე პაემანი მქონდა აჩრდილთან?...

2014 წ.

* * *

დროის სრბოლას რომ ჩაუსაფრდები,
უცებ რომ შეძლო, გაყინო წამი,...
ნეტავი, მაშინ თუ შემოგრჩება
ბაგეზე ჩემი ცრემლების ნამი?...

2004 წ.

რეალისტური ფანტასმაგორიები

და ჩაიბეჭდავს ბასრი მზერა
უხმო კადრებად
ღამეულების ზმანებებში გამკრთალ მომენტებს...
იქ, იმ უშორეს ჰორიზონტებზე
გადასაფრენი ხიდების წყება,
ასე ცხადად რომ ისახება,
უკვალოდ ქრება...
ჩანს, არსებობის მარწუხები
სულს აწუხებენ...
გადაქანცული სხეულის მიღმა
სული, ვით პრიზმა,
გარდასახულ სხივებს აგროვებს...
მერე ირეკლავს, როგორც ფანტომებს...
იქ, შელეწილი კარების ზღურბლთან

ფიზიკურ სხეულს შეჯახების წამი არ ტოვებს
საკუთარ სულთან...
და რეზონირებს მდუმარება შორეულ ცაში
ხიდებზე მარშით...
გაწელილ წამში
ველებზე გაშლილ,
მილიონ ყვავილს ჩააწნავენ ვიღაცას თმაში...

2015 წ.

ერთი მსახიობის თეატრის შესახებ

(მისტერიები)

ისტერიებით გაჯერებულ უძილო ღამეს
ბნელ დარბაზში
მისტიკოსები მისტერიულ სპექტაკლებს დგამენ...
ალეგორიულ სცენებს მართავენ...
პერსონაჟებიც თვითონ არიან
(საკუთარ თავს თამაშობენ),
სიუჟეტებსაც თვითონ ხლართავენ...
კულმინაციის მომენტს ელიან
მოუთმენლად...
ცრემლთა ნიაღვარს ვერ ელევიან...

მომხდარის ხომ თვითონვე სჯერათ!...
და როცა დრამა გათამაშდება,
როცა ფინალის წუთი დადგება,
სწორედ მაშინ
გამოელევათ მსახიობებს სიტყვის მარაგი...
–შეწყდა თამაში? –
შეშფოთებას ვერ დამალავენ...
და დაიწყება გაუგებარი ფრაზების ცვენა,
საგნების ისტერიული,
ყურის წამღები მსხვრევა...
„უსაგნო“ სცენა
მთავრდება კრახით...
რა ეშველებათ
პუბლიკასთან შერცხვენილებს?!...
მაყურებელი ხომ ირგვლივ მდგარი,
უ ჩ ი ნ ა რ ი
სარკეებია!...

2004 წ.

კლინიკური სურათი №N

შეშლილთა გაოგნებულმა მზერამ,
ბნელ ოთახებში გამოკეტვამ,
სარკისუკანა ხედებში ჭვრეტამ,
სამყაროს მღვრიე თვალებით ხედვამ,
ყველა ნიუანსის უტრირებამ
სპირალები წრეებად შეკრა...

2004წ.

კონგენიალურობის მისტერია

(რემინისცენციები)

თუ ჩემი მზერის,
თვალსაწიერის
არ ხარ საზღვარი,
გადაეღობე, რატომ–მითხარი–
ჩემს თვალთა ხედვას?...
და როცა განგებ
დაიხშობ სმენას,
ყურს უგდებ როცა დუმილის ჰანგებს,
სიმფონიას, წამის ყოველის,
რად მახსენდება მე მაშინათვე
ელვარე მთვარე და ბეთჰოვენი?...

2014 წ.

* * *

ამაოების უკიდეგანო სივრცეში, სადღაც,
უსასრულობის დასალიერთან
უმანკოებას კოცონზე წვავდნენ...
სიცივისაგან გათოშილნი
ცეცხლის ალზე ხელებს ითბობდნენ...
ხელის გულები ასკდებოდათ
მწველი ცეცხლისგან,..
თუმც ვერ გაელღვო მხურვალებას
გაყინული გულები მათი...
კანკალს და ძრწოლას აეტანა ისინი უკვე,
როცა კოცონმა სხეულები
ფერფლად აქცია...

2004 წ.

ილუზიაა ბნელი სიფხიზლე

(ეძღვნება მერაბ კოსტავას)

ამაოების, დახშულია ვიწრო საკანი...
და ყრუ კედლებში არა–რა ბზარი...
შენ კი ოცნებობ ღია სარკმელზე,
ფრთიან რაშებზე,
დანისლულ გზებზე...
გავიდა წამიც...
თითქოს, ხელახლა იღვიძებ,
თავისუფლების მწვერვალზე მდგარი...
კვლავ ნათელია შენი მიზანი...
და როგორც მთვრალი,
გულმკერდს შეუშვერ უსაზღვრო სივრცეს,
რომ გეხეთქება და ფილტვებს
გინგრევს...
***
ილუზიაა ბნელი სიფხიზლე...
ხელებს ხვევ სივრცეს,
უკიდეგანოს...
არაფერს ნანობ!
არაფერს ნანობ!

13 ოქტომბერი 2014 წ.

* * *

დაშრეტილია ყოველი წვეთი...
განძარცვულია ყოველი წამი...
ხელი ჩამავლე, ჩაძირულს, თმებში...
ფსკერზე დალექილ იმედებს ხვალის
თან წამოვიღებ...

2005 წ.

* * *

კედელზე გართხმულ ღამის სილუეტს
მთვარეულივით ნაბიჯით ვზომავ...
ჩუმად ჩამითვლის წამებს სიჩუმე
და მერე, ალბათ, გადახტომაც
არ დააყოვნებს...
დროის ულმობელ სადარაჯოებს
ჩაუქროლებს
მ ა რ ა დ ი ს ო ბ ა...

2004წ.

მოლოდინი

(ოპტიკური ტყუილი)

კედლის საათზე შემორჩენილ
ერთადერთ ისარს
დრო არსად მიჰყავს...
უსასრულობას წრეებად უვლის...
არავინ არღვევს უმკაცრეს დუმილს...
მარტოდენ გული
ჯიუტად ფეთქავს...
აქარწყლებს სევდას
ჩამოყრილი ვარდის ფურცელი,
ნაზი სურნელით,
სემირამიდას ბაღებიდან...

P.S. იმ საათს სინამდვილეში ერთი კი არა, არამედ სამი ისარი ჰქონდა...

2011 წ.

ბროწეული

(რემინისცენციები)

უდაბნოში ცისკენ გაწვდილ ხელისგულზე
აუგიათ მერცხლებს ბუდე...
მოლოდინით გათანგული,
მთლად, სხეული
ქვად ქცეულა...
***
სამაჯურში ამოხეთქა ბროწეულმა...
ლალის თვლები გამოისხა ყვავილებად...
და ცრემლებად
დაიღვენთა,
მერცხლებმა რომ მიატოვეს თვისი ბუდე
გაქვავებულ ხელისგულზე...
***
ესიზმრებათ მარტოსულებს,
იხუტებენ ლალისთვლიან ბროწეულებს...

2011 წ.

* * *

და დრო ხან შავბნელ
ეპოქათა პირქუშ წყვდიადებს
ათავისუფლებს, აგანთიადებს...
და ხან კი ნათელ
განთიადთა მთელ მირიადებს,
ვით ქვიშის მარცვლებს,
ქვიშის საათის კედლებში ამწყვდევს...

2015 წ.

არშემდგარი არჩევანი

დუმილსა და ისტერიულ კივილს შორის
იხლიჩება როგორც ლოდი,
არჩევანი...
განაჩენის დრო კი მოდის...
მიეზღვევა
ყველა წამის
გაფლანგვა და არშეგრძნება
ჩემებრ ცოდვილს...
***
ვერ გავავლე, ვერა,
ზღვარი
უმეცარსა და ბრძენს შორის...

2013 წ.

ცოტა რამ ჩემი "იდენტობის" შესახებ

მე – პარადოქსთა საგანძურის მრავალთაგან
ერთი მემკვიდრე -

კარს რომ ვურაზავ, სარკმელს ვუღებ ცივ
ქარტეხილებს...

ერთი მათგანი, ერთგული მიზნის,
დასაბრუნებელს, ვინც სულ წვავს ხიდებს,
ოფლით და სისხლით
ათიათასჯერ აღდგენილებს...

2015 წ.

იძულებითი რეანიმაცია

კვლავ დაიკლაკნა სწორი ხაზები...
ისევ ჩამესმის უცხო ფრაზები...
აღარ დავეძებ მე მათ ავტორებს...
საკუთარ თავთან მარტო დამტოვეთ...

2011 წ.

არმოლოდინი

მავთულხლართები დაიორთქლა
დახშული სუნთქვით...
მე ველარ ვზომავ
ნაპრალებს გულში...
უსაგნო დუმილს
გარშემო ვუვლი...
რა იყო გუშინ?
აღარ მახსოვს...
დავრჩები მარტო...
არ გაისარჯო!..

2005 წ.

* * *

– შეხედე! ველად
გაშმაგებული ცხენების რემა
ჩაუთრევია სასტიკ მარულას...
გულში კი...
მინავლებული გრძნობების თვლემა
გადაიქცევა კვლავ სიყვარულად?
– არა!
– რატომ?
– შენი გული
ხომ ცხრაკლიტულში გყავს
გადამალული...
დაგავიწყდა?...

2004 წ.

* * *

დახშული სუნთქვის ინტერვალებში,
თავდავიწყების მომგვრელ ალერსში
მე შენს თვალებში
დატეული ოკეანის
ფსკერზე დავეშვი...

2013 წ.

ზღვარზე

დეპრესიული სტრესსთა კასკადი...
ჩუმი ქვითინი, ჩუმი ღაღადი...
გარდაუვალი განსაცდელის ნათელი ხილვა...
აუხდენელი ოცნებების მსხვერპლად შეწირვა...

ირგვლივ ღამეა, განშორება,
ამბოხი, შიში...
ამ გროტესკულმა ფანტომებმაც
მორთეს ხითხითი...

2004 წ.

* * *

და თუ ეს ვნება,
გადარეული,
არ მაძლევს ნებას,
გავხდე ეული,..
ვიქცე მსახურად ცივი გონების,..
გამომიწვევენ გამალებით ცის დემონები...
და მორჩილებით პოეზიას დავემონები...
***
დემონები... დემონები...
ლექსის ვნებას ვემონები...

2014 წ.

დაწყევლილი ცნობიერება

ათასწლეულთა გადასახედი...
მოულოდნელი გარდასახვები...
უფსკრულში თავით გადაშვება...
უკან მოხედვის არდაშვება...
შეუმეცნებლის შემეცნება...
მუდმივი ჭვრეტა
ცივი გონების დაბინდული სარკმელებიდან...

2004 წ.

რეფლექსიები

ვინ გაატანდა ცხელ ქარიშხლებს
გულის ნაწილებს,...
რომ არა მკერდქვეშ ჩასახულის
პატარა გული?!...

2013 წ.

ჩემი პალიტრა

ჩ ე მ ი პ ა ლ ი ტ რ ა
გავშალე სპექტრში...
ყველას ვარგუნე თავისი ფერი...
ვის მწვანე შეხვდა სინორჩის ნიშნად...
ვის შეეხამა უფრო წითელი...
ფერის გარეშე მხოლოდ მე დავრჩი,
რადგან ვერც ერთი ვერ შევარჩიე...
გამჭვირვალე ვარ ახლა ყველასთვის...
დღემდე ვერავინ ვერ შემამჩნია...

2004 წ.

ТО ПРИЗРАЧНОСТЬ ПРОЗРАЧНО ЛЬЕТСЯ С НЕБО...

ТО ПРИЗРАЧНОСТЬ ПРОЗРАЧНО ЛЬЕТСЯ С НЕБО,...
ТО ПРЯЧУТСЯ В ТУМАНЕ ДНИ РАССВЕТА...
А ЖИЗНЬ, ВЕДЬ, БЕЗ ОБМАНА,
ИГРА ДЛЯ ТЕМНОТЫ И СВЕТА...
ПОСТИГНЕШЬ
ДВУЛИКОЕ, КОНТРАСТОВ, ПЛАМЯ
В КАЖДОМ МИГЕ...

2015 Г.

В СОЗВУЧИИ С ТИШИНОЙ...

НАД УРОВНЕМ НЕБО,
ГДЕ-ТО,
В ТЫСЯЧНОЙ ВЫШИНЕ
НОВЫЙ МИР ВОЗНИКАЕТ ИЗ ПЕПЛА
В СОЗВУЧИИ С ТИШИНОЙ...

2015 Г.

* * *

თავისუფლებით დახეთქილ ფილტვებს,
ვით ქარი
ზვირთებს,
ეზიდება დაღლილი ტანი...
***
წყალს დაეწაფა ხარბად მავანი...
ბაგეს შეეხო იასამანი...
***
ქარი მოგიძღვის ვნებიან სიტყვებს,
მე რომ სიზმარში წუხელ გავრითმე...

2013 წ.

ცარიელი დღიურებიდან-2

სადღაც, ძველ სხვენზე მიტოვებულ
ერთ უცნობ პორტრეტს
ვიღაც ექსპრომტად კვლავ მიუძღვნის
გარითმულ სტროფებს...
წაუკითხავი პოემიდან...
კედლის საათიც უისრებო გადაითვლის
გარდასულ დროებს
ჯერ არ განვლილი ცხოვრებისა...

2006 წ.

ღამის მეტამორფოზები

და ლიცლიცებენ წყვდიადში ზანტად
ვნებააშლილი სანთლის ენები...
მთვლემარე სულს კი ეხდება ფარდა
სვენებ-სვენებით...
შეშლილი ვნება
მწველი ენებით
დაჭიმულ სიმებს ყელზე ევლება...
და მეჩვენება,

ღამის უცვლელი სილუეტის
უმანკო პოზა
სამარისებურ სიჩუმეში
კვლავ შეცვალა მეტამორფოზამ...

2015 წ.

რეფლექსიები

კისერზე ყულფი რომ ვერ გაგლიჯა,
გული დაფლითა
ბასრმა მახვილმა...
მე ჩამითრია გრძნობების ტალღამ...
რასაც ვეძებდი, სწორედ ის გაქრა...

2005 წ.

* * *

და მარტოობა,
როგორც ობობა,
სულის სიმებში ქსელებს რომ ხლართავს,
დრო როცა ფლანგავს
არშემდგარ წამებს,
ღმერთის იწამე!..
ღმერთის იწამე!..

2013 წ.

* * *

შენ თუ ღრუბლებში ფრენის
დაუოკებელ წყურვილს,
ვით აუხდენელ სურვილს,
გულიდან ისევ დევნი,..
სიზმარში იკლავ, ალბათ...
და ეწაფები ხარბად
ღრუბლების რძისფერ ტალღას...
ღრუბლის, მახსოვსო, გემო–
არ თქვა, არ დაიჩემო!..

2014 წ.

* * *

წამებს წლები მიაქვს...
სულ არ მეშინია
დათოვლილი გზების,
გაყინული ვნების,..
რადგან ზამთრის პირსაც
მზის უმწეო სხივსაც
სუნი აპრილის აქვს...
წამებს წლები მიაქვს...

2005 წ.

* * *

სევდის ნაპირთან
ვნების გრიგალმა ცხელი ქვიშებით
მთვლემარე გულებს გადაუარა...
მეშვიდე ციდან
ბროლის ხიდები
ბროლის წვიმებად ჩამოიღვარა...
ეს სიყვარული იყო თუ არა?
ბროლის ნაპირთან გამოიდარა...

2012 წ.

მეტამორფოზები -2

კატაკომბების გაცრეცილი მელანქოლია
ცრემლის ნიაღვარს თან გაჰყოლია...
ალმასის თვლებად ჩაწყობილა
საყურის რკალში
და მის გარშემო ნიავი დაჰქრის...
ნიავი დაჰქრის...

2005 წ.

ვივისექცია

საპირისპირო განცდათა შერწყმა...
საკუთარ თავთან განმარტოვება...
ბასრი სკალპელით სიღრმეში შეჭრა
ერთგული გულის გასაორებლად...

2005 წ.

პოსტმოდერნისტული რეფლექსიები -1

ყელს ებჯინება გამყინავი სიცარიელე,
დუმილით სავსე...
და როგორც ხავსი,
მოსდებია ჩამქრალ იმედებს...
სული შთავბერე აბსურდების არნახულ ფარსებს,
ასე რომ მავსებს,..
და მოსაკლავად ვეღარ ვიმეტებ...

2014 წ.

რეფლექსიები

დღეს ჩუმი სევდა ნისლებში მძირავს,
ხვალ მიუსაფარს სუსხი გამყინავს...
ახლა ვინ მიყვარს?
ვიცოდე, არ მსურს...
და მე პაემანს ვუნიშნავ წარსულს...

2005 წ.

სიზმრის მისტერია-2

(ვუძღვნი ჩემს არდაბადებულ პირმშოს)

ეს იყო ხილვა –
სარკის მიღმა
მე დავინახე სილუეტი,
პატარა ბავშვის...
სულ ერთი წამით
და სწორედ მაშინ
გამახსენდა ჩემი სიზმარი...
***
სადღაც, ძველ საყდარში
გრძნეულთა პარპაში...

ვნებების ხანძარში
ფლოქვებით თამაში...
თორმეტი დამქაშის
ცეკვები ნაცარში...
და ცვივა ბათქაში
ცარიელ აკვანში...
არა, რა განგაში?!
რა ხსნაა ამაში?! –
ვიღაც კვლავ ლოცულობს
გაყინულ საკანში!

2006 წ.

* * *

წრეგადასული აბსურდების ფსევდო-სისავსემ
დროის ტუსაღებს დაუკარგა წამის სიცხადე...
სტრიქონებს მიღმა გარდასახვებს დაუდგა ჯერი...
ყველა ეპოქას დაასრულებს უდაბნოს მტვერი...

2013–14 წწ.

* * *

უსასრულობის ჭრილში
პარალელების კვეთა
გუშინ მესიზმრა ძილში,
რას მოასწავებს, ნეტა?
უსასრულობის ჭრილში
პარალელების კვეთა...
ამაოების ტვირთი
ამაოების დღეთა...

2004–2005წწ.

რეფლექსიები

– მე ჩემს დაქსაქსულ განცდებს მივყვები
და ვაკოწიწებ გრძნობებს მალულად...
– გზა რომ აგებნეს ლაბირინთებში?
ეგ გზა ხომ ჯერაც არ გაკვალულა?!

2004 წ.

პოსტმოდერნისტული რეფლექსიები-2

ათასწლეული შთანთქეს წამებმა...
ვერ ვასწრებ თვალთა დახამხამებას,
ისე იხლება ჯერი ტყვიების,
ამ მყიფე, მყიფე რეალიების...
***
დახვრეტილ გულებს ავსებს სამება–
– იდუმალება...
ჩნდება და ქრება...
ათასწლეული იქცა წამებად...
ღირდა წამებად?...
ისევ სამება
და მდუმარება...

2014 წ.

ინიციაცია № N

(მეტამორფოზები)

ფერისცვალების ფარდა
მისი სამოსი გახდა...
ყოველი წამის განცდა
მარადისობას გასცდა,...
სიკვდილის წამის გარდა
და ისიც სიზმარს ჰგავდა...

2010 წ.

კლინიკური სურათი №2

ვიღაც სარკესთან გრიმასებს ირგებს
და ამით ხოცავს წუთებს და წამებს...
ის ხან კომიკურ სახეს მიიღებს
და ხანაც დრამას გაითამაშებს...

2004 წ.

რეინკარნაციისწინა სილვები

SUICIDAL TENDENCIES

მბჟუტავი შუქი, დამსხვრეული
ფილები ირგვლივ,
კედლებზე ცხელი
ორთქლის წვეთები,
ძარღვებში ბორგვა,
თქრიალი სისხლის...
ყურში ჩაგესმის:
„დაე, მოხდეს ის, რაც მოხდება!“
მერე სიტყვები ექოსავით განმეორდება...
– ეს არ მოხდება! –
ცდილობ, ირწმუნო,
მაგრამ სიტყვები კვლავ მეორდება:

„დაე, მოხდეს ის, რაც მოხდება!“
მეტს ვეღარ უძლებ,
სუნთქვა გიჭირს,
უკვე გონებაც აღარ გიჭრის,
ვერ თოკავ ნერვებს...
მიენარცხები ჯიქურ კედელს...
ჩაიკეცები...
და კვლავ ჩაგესმის:
„დაე, მოხდეს ის, რაც მოხდება!“
მბჟუტავი შუქი, დამსხვრეული
ფილები ირგვლივ,
კედლებზე ცხელი
ორთქლის წვეთები
მეწამულ ნისლში იძირება...
გადახლეჩილი ვენებიდან
გაჰკივის სისხლი:
„დაე, მოხდეს ის, რაც მოხდება!“

2004 წ.

მისტერიები

მარადიული ვნების მონები,
არასმქონეთა მთელი ქონების
მესაკუთრენი,
ამაოების კალოს ლეწავენ...
მარცვლებისაგან აზრებს თხზავენ...
აზრებით სიბრძნეს გამოძერწავენ,...
სარკაზმებით შეკაზმავენ,...
გამობრძმედავენ,...
ფერუმარილით შეამკობენ,...
გაამდიდრებენ,...
გააძვირებენ,...
უსასყიდლოდ დაარიგებენ,...
რათა ყოველის გული მოიგონ,...
მოინადირონ,...
სამუდამოდ დაისაკუთრონ...
ამ გზით ქაოსის ბნელში
ყოფნა თვისი
ერთიათად გაიხანგრძლივონ...

2004 წ.

„POSTMODERN“-ისტული ქრონიკებიდან

(სურათი №1)

ქალაქი... ბინდი...
თვალებდათხრილი ძაღლების სრბოლა...
უსახლკაროთა ცისკენ ლტოლვა...
ღამეულ მგზავრთა გადახტომა
მატარებლიდან მატარებელში...
დავიწყებული მისამართები...
არ იცი, საით მიემართები...

2004წ.

მონატრება

კამკამა წყალში გახელილ თვალებს
მზერას რომ სტაცებს
ზურმუხტის მძივი,
შიშველ გულმკერდზე დაფენილი,
იმ სისხამ დილით...
როცა წამწამებს
ვნებით შეარხევს
აქაფებული ტალღების მწკრივი,...
იმ სისხამ დილით...

ტილოს სურათს რომ დახუნძლავენ
ყურძნის მტევნებით...
ჯერ შეუშრობელს რომ აკენკავს
ბელურა-ჩიტი,...
იმ სისხამ დილით
მომეფერები?...
მომეფერები
იმ სისხამ დილით?...

2007წ...

პოზიტიური ნეგაციები

გაუსაძლისი ყოფნით
მთვარეულივით ქცევა...
სცენაზე წუთისოფლის
თვალდახუჭული ვდგევარ...
***
ბროლისხიდიან ნაპირს,
მეშვიდე ცამდე აწვდილს,
მე მივუყვები მარტო
და აღარაფერს ვნატრობ...

2012 წ.

ეპოქის სიზმარს არ აქვს ფერები

მიუსაფარი აჩრდილების,
მაფრთხობს, ჩრდილები...
ბუნდოვანება
გონებას
ნისლავს...
მე მისხალ-მისხალ
მაგროვებენ ქვიშისგან წლები...
და უხილავი ქვიშის ფერებით
ეპოქებს ვმიჯნავ...
გუმანით ვწვდები,...
სხეულით ვხედავ,... თვალით ვეხები
ეპოქის სიზმარს...
არ აქვს ფერები...
***
წამის სიცხადემ მოკლა ფერები,
„ათასწლეულთა მონაფერები“...

2015 წ.

სარკის ინიციაცია № N

– გრძნობებისაგან მთლად დაცლილი
მიექანები ბნელ დერეფანში...
წინ დიდი სარკე მოგჩერებია...
თვალებს დახუჭავ... შეასკდები...
სისხლის წვეთებს დაიგემოვნებ...
და მერე იგრძნობ მსუბუქ ჩხვლეტას
გულის არეში...
– ო, სულ ეს არის?!

2004 წ.

სიზმრის მისტერია

ქვიშის განთიადს
გზას უჩრდილავს წარსულის ლანდი...
ისევ იწყება ჩემი სიზმრის ხილვები ცხადი...
ყინულის ფარდა ეფინება ცეცხლოვან ზეგნებს...
ანგელოზები ძილ-ღვიძილში იპკურებენ
ცვარ-ნამის წვეთებს...
იცხრობენ ვნებებს...
ვიღაც დაითვლის სათითეში შეგროვილ ცრემლებს
ასი წლის შემდეგ...

2005 წ.

რეფლექსიები

მე ჩემი გრძნობის ციცქნა ნამსხვრევებს
სად არ დავეძებ?!
შესუნთქულ წამში
გამკრთალ სახეებს
ხელით ვეხები...
ცრემლის კიაფში
არეკლილ ხედებს
ვითვლი წვეთებით...
ვნების წიაღში
განძარცვული,
ფსკერზე ვეშვები...
ქვიშის წვიმაში
გათანგული,
წყალს ვსვამ პეშვებით...
დამტვერილ თმაში
ჩაკარგულან,
სადღაც, პეპლები?

2005 წ.

* * *

ნეტა, ვიცოდე, რას განიცდიან
ის ძველისძველი, დაბზარული ციხე-კოშკები,
სალი კლდეების თვალუწვდენელ მწვერვალებზე
რომ აღმართულან,
და ოკეანის გრანდიოზულ მიმოქცევებს
ასცქერიან
ქვემოდან ზემოთ!...

2015 წ.

რეინკარნაციისწინა სილვები

ღონემიხდილი ეშაფოტის ყოველ საფეხურს
ათრთოლებული ნაბიჯით ლახავ...
ადვილად იკლავ გულში საყვედურს
და, აი, უკვე სიკვდილის ფიცარნაგზე დგახარ...
მავანს და მავანს
გესლიანი სიცილი წასკდა...
გაქვავებული სახეების გარემოცვაში
დროის დინება
თითქოს შეჩერდა...
ველარ ბედავ
თავის აწევას...
შენსკენ მომართულ გაყინულ მზერას,

ბასრსა და გამჭოლს,
თვალებით იჭერ...
გულში ჩაგესო?
ვეღარც გრძნობ,
იქნებ,
სასტიკ ტკივილს,
რადგანაც ზეცას უერთდები...
შენი სისხლით
ხელებს დაიბანს ყველა გამვლელი...
მავანს და მავანს
განმგმირავი ქვითინი წასკდა...

2004 წ.

ღამის პრელუდია

უმანკოებით დაღლილ თვალებში
დაეხეტება უსასრულობა...
ღამის ბორგვების სიმხურვალეში,
გაუცხოებულ აზრთა თარეშში
გაუჩინარდი როცა ულმობლად,
ლოცვა მწყუროდა...
ლოცვა მწყუროდა...

2012 წ.

დაუმთავრებელი ეტიუდი

(ციკლიდან – მეტამორფოზები)

უკაცრიელი მდუმარების
ქარავნებს კლდეთა
კვლავ ეზმანებათ ფერისცვალება...
ფრთამოტეხილებს ცაში აჭრის
ამძიმებთ სევდა...
ცის კაბადონი
დაგრაგნილა ფოლიანტებად...
ოცდაცამეტი ფოლიანტი გაიყიდა
ოცდაათ ვერცხლად...

2006 წ.

მონატრება

ოცნებადქცეულ ნავსაყუდელს
კვლავ დაეძებს უნიჩბო ნავი...
სასტიკი ქარი
ენარცხება მტვრიან ქვაფენილს...
ყვავილს გათელილს
ეალერსება წვიმის წვეთები...
აღარ შევხვდებით?
აღარ შევხვდებით?

2011 წ.

ძლიერთა ამა ქვეყნისათა

საკუთარ თავთან არყოფილებს,
დროით და სივრცით გაპოხილებს,
პოეზიისგან განყოფილებს
არ იცნობს მუზა...
ვის ტვირთად აწევთ
დაბადებიდან სიკვდილამდე
გაწელილი არსებობის „მოკლე“ პაუზა,...
ვისი სულებიც ბედისწერამ დააპაუზა...

2015 წ.

* * *

უფრო და უფრო მყინავს
შენი არყოფნის წამი
და თუ შევხვდები დილას,
ალბათ, ყინულის ქალი...
***
და თუ განმსჯიან,
ცივი გონება ნუ იქნება
ჩემი მსაჯული,
არამედ – გული...
წარსულის მორევს გავაყოლე
თან სინანული...

200...წ.

* * *

ო, მომაშორეთ სხვისი ფრაზები!..
ო, ამარიდეთ სხვისი განცდები!..
წელში გადამტეხს, აბა, ამდენი
გათავხედებულ აზრთა ბანდები!..

2004 წ.

* * *

პეშვით დაცლილი
ოკეანის ფსკერს ვაკვირდები...
და დაცურავენ გადაღლილი,
ცელქი თითები
ხავსმოდებული მარგალიტებით
გადაჭედილ სულის „რიფებში“...

2016 წ.

დაბრუნება

მარტოსულობამ გისოსებით დასერა ზეცა...
თოკის მარყუჟი კვლავ ეხება გაყინულ კეფას...
ჩაკეტილ წრეებს ენარცხება გულ-მკერდი ცხელი...
ღამის ტუსაღი ცისკრის ვარსკვლავს ამაოდ ელის.
***
– და აღარ შედგა სუიციდი?...
– წამებს ვუცდიდი,
იმედის ფეთქვის,
შენთვის და ჩემთვის...

2010 წ.

ძველი ზარდახშა

(მეტამორფოზები)

ნაწვიმარ ქუჩებს აშრობდა ქარი,
როცა არ შედგა პაემანი...
ის კი უმძიმეს სინანულთან,
უსულგულოთა სიბრალულთან,
ღამის ჩურჩულთან
სულ მარტო დარჩა...

წარსულის ლანდად
მოევლინა ძველი ზარდახშა...
ხელი დასტაცა...
მოისროლა ღია სარკმლიდან...
წამში დაიმსხვრა...
გაიფანტა ათასგვარ თვლებად...
და ნამსხვრევები
მოეფინა სველ ქვაფენილებს...
გავიდა წლები...
დრო გაჰყვა წვიმებს...
ზარდახშის თვლები
მძივად აესხათ ბებერი ბოშას
დაკოჟრილ თითებს...
და აშრებოდა წვეთები წვიმებს...
ზარდახშის მძივი სხვას ამშვენებდა,
სხვა ლამაზმანის მოხდენილ კისერს...
***
ის კი სარკმელთან,
ღამის ფიქრებში ჩაძირული,
ნახევრად სთვლემდა...
ბაგეზე მეტად
ნაზი ღიმილი დასთამაშებდა...

2006 წ.

ეპილოგი

კარებს გავუღებ...
შემოსვლას ვაცლი...
არც კი გავუმხელ
გრძნობებში განცდილს,
ისე ავუვსებ
ერთადერთ სასმისს
განშორებისას...
ბოლომდე დაცლის...
მის ნათითურებს ტუჩები წაშლის...

2006 წ.

* * *

ჩვენ სილამაზე, მიწიერი, თუნდაც რჩეული,
თუნდაც ტილოზე დატეული
ათასწლეულის,
მხოლოდ დროებით გვეძლევა,
გვეძლევა ვალად,...
გინდ, დაიბადე კაცად, გინდ – ქალად...
და ყალბი არის ყველა შეგრძნება,
მშვენიერების სამუდამოდ დასაკუთრების...
ეპოქა ცდება...
ეპოქა წავა...
ვის აქვს უფლება?...
ვისა აქვს ძალა –
მარადისობა აქციოს წამად?...

2015 წ.

მთვარის სიზმარი

ვნებების ღამეს
მხნე ქალწულები
სხეულებზე იხატავენ
ოქროსფერ ხალებს...
ფეხის გულებით
ეხებიან ანთებულ მთვარეს...
და ნატიფ ტანებს
უშიშვლებენ მნათობის ელვას...
კვლავ შეუპყრია ვნებათა ღელვას
მთვარის რაინდთა მთავარი დასის
უკანასკნელი პერფორმანსი...

2015 წ.

სიზმარი

სიზმარი, რომელიც მინდა რომ გიამბოთ, მე არ დამსიზმრებია... არ ვიცი, საიდან მახსოვს იგი, ვინ მომიყვა, ანდა როდის... უბრალოდ, ვიცი, რომ არსებობს ასეთი სიზმარი... და ის ზოგჯერ ისე ცხადად წარმომიდგება ხოლმე თვალწინ, თითქოს მე თვითონ დამსიზმრებოდეს და მისი მთავარი პერსონაჟიც მე ვყოფილიყავი:

შუაღამეა, დავიარები ერთ ძველისძველ, მიტოვებულ სასაფლაოზე... საფლავის ქვები ხშირი ხეების ტოტებით, ბუჩქებითა და ბალახით არის დაფარული... მოსჩანს მხოლოდ მარმარილოს ანტიკური ქანდაკებები – მთლად ჩამოშლილი და ჩამორღვეული... ირგვლივ გამეფებულია უკაცრიელი მდუმარების რაღაც მიუწვდომელი ჰარმონია, რაც საოცარ სიმშვიდეს მანიჭებს... ამ სიჩუმეს დრო და დრო უცნაური ხმები არღვევს, ისინი ზოგჯერ ქალის მოთქმას ემსგავსება, ზოგჯერ კი – სიცილს, თუმცა არანაირი შიშის შეგრძნება არა მაქვს...

დავდივარ ჩემთვის ჩუმად, ვათვალიერებ თითოეულ საფლავს... თითქოს უჩვეულო არაფერია-ძველი წარწერები საფლავის ქვებზე ძლივს

იკითხება... ვაკვირდები მათ და ერთი უცნაური რამ მაოცებს-ყველა საფლავზე დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები მეტისმეტად მცირე დროითაა ერთმანეთისგან დაშორებული... შუალედები ამ თარიღებს შორის ზოგიერთი საფლავის ქვაზე სულ რამდენიმე თვეს წარმოადგენს, ზოგიერთზე შუალედი ორი წელიწადია, ზოგან – ხუთი, ზოგან – ათი წელი. (ასე მაგალითად: 1776-1778; 1850-1855; 1900-1910.) ყველაზე ხანგრძლივი შუალედი – ოცი წელიწადი (1938-1958) კი – მხოლოდ ერთ საფლავზე ვნახე...

– რა ცოტა ხანს უცოცხლიათ ამ საბრალო ადამიანებს! – გავიფიქრე ჩემთვის. – ნეტავ, რა ქვეყანაა ეს, სადაც სიცოცხლე ასე ხანმოკლეა?!

უცებ, შორიახლოს შევნიშნე ერთი ღრმად მოხუცებული, წელში მოხრილი, სულ გადათეთრებული კაცი... – ალბათ, მესაფლავეა – გავიფიქრე...

...და ვეკითხები მე ამ მესაფლავეს – კი, მაგრამ შენ თუ ამდენ ხანს ცოცხლობ ამ ქვეყანაზე, რა დააშავეს იმ ადამიანებმა, ვისი საფლავებითაც სავსეა ეს სასაფლაო? რატომ იყო მათი სიცოცხლე ასე ხანმოკლე?

და მან იცით, რა მიპასუხა? – ამ საფლავების

ქვებზე ამოტვიფრული თარიღები ადამიანის დაბადებასა და გარდაცვალებას როდი აღნიშნავს?! არა, ამ თარიღებში ადამიანთა სიცოცხლის მხოლოდ ის ნაწილია დატეული, როცა თითოეულმა მათგანმა ნამდვილი სიყვარული განიცადა და ამქვეყნად ყველაზე საყვარელი ადამიანი, ყველაზე ერთგული მეგზური და მეგობარი ჰყავდაო გვერდით. – და მესაფლავემ დაამატა – ნამდვილი სიცოცხლე ხომ სწორედ სიყვარულში გატარებული წუთები, დღეები, თვეები და წლებია მხოლოდ...

– იცი, ამ ადამიანთაგან ყველა გარდაცვლილი როდია? ამ სასაფლაოზე სადღაც მიკარგული ჩემი საფლავიც არის, ოღონდ აღარ მახსოვს, სადაა...დღემდე დავეძებ და ვერაფრით ვერ მიპოვნია ჩემი საკუთარი საფლავიო... – ასეთი რამ მითხრა მესაფლავემ...

და ასე მთავრდება ეს სიზმარი...

2013 წ.

ნიღბების კოლექციონერი

ჩვენ ყველას, ყველას გვჭირდება ჩვენთვის ძვირფასი და ახლობელი ადამიანები, გვჭირდება მეგობრები, რადგანაც ისინი ჩვენი სარკეები არიან (რა თქმა უნდა, ამ სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით)... სასურველი სარკეები...

და მათ გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია... სწორედ ამ სარკეებში ვჩანვართ საუკეთესო რაკურსებიდან, სწორედ მათში ირეკლება ის, რაც ჩვენში საუკეთესოა (სულიერი თუ ფიზიკური თვალსაზრისით), რითაც ვამაყობთ, თავს ვიმკვიდრებთ ამ ქვეყანაზე... და ბოლოს, რისთვისაც გვიყვარს ჩვენი თავი...

ამ სარკეებიდან კი ყველაზე, ყველაზე გამორჩეულია ის სარკე, რომელიც საყვარელ ქალში ანდა მამაკაცში განსხეულდება... მაგრამ ყველას როდი უმართლებს და პოულობს ასეთ სარკეს ცხოვრებაში თავისი განუყრელი მეგზურის სახით?!...

ამქვეყნად არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ჩვენთვის არასასურველ სარკეებს წარმოადგენენ, რადგან ამ სარკეებში როდი ვჩანვართ ლამაზები და ნიჭიერები, აქ ყველაფერი

პირიქითაა... ამიტომ გავურბივართ ასეთ ადამიანებთან ურთიერთობას, ზოგჯერ გაუცნობიერებლადაც კი... მათ გვერდით საკუთარი თავი ნაკლებად გვიყვარს...

* * *

ამასთან დაკავშირებით მინდა გიამბოთ ერთი უცნაური ქალის ისტორია... და ეს ისტორია დღემდე გრძელდება...

არის ერთი ქალბატონი, ვინმე სახელად ნ. (თუმცა, მე ის არასდროს მინახავს, მისი მიახლოებითი ასაკიც კი არ ვიცი, მხოლოდ სხვებისგან გამიგია მის შესახებ), რომელზეც ამბობენ, სულ მარტო ცხოვრობსო. ის ძალზე მარტოსულია და ჩაკეტილი... ყოველთვის თავს არიდებს სხვებთან ურთიერთობას... მისი თითქმის არავის ესმის... მან თავის ცხოვრებაში დღემდე ვერ იპოვა ვერცერთი ადამიანი, რომელიც მისთვის სასურველი (სულ ოდნავ მაინც) სარკე იქნებოდა...

და მან თავისი მარტოობის სიცარიელე იცით, რით შეავსო? ის ნამდვილ კედლის სარკეს დაუმეგობრდა (დიახ, სწორედ სარკეს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით), იმ სარკეს, ბავშვობიდან მის საძინებელ ოთახში რომ დგას, ისეთი

მაღალია, ჭერამდეც კი აღწევს...

აი, სწორედ ამ სარკეში ხედავს ქ-ნი ნ. თავის თავს ყველაზე ლამაზად და მომხიბვლელად... მთელს საათებს ატარებს მასთან, იმზირება სარკეში და ტკბება საკუთარი თავით, სწორედ ისე, როგორც ნარცისი ტკბებოდა საკუთარი ანარეკლით წყალში (რადგან, ვფიქრობ, ნარცისიც მარტოსული იყო)...

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქ-ნი ნ.-ს ცხოვრებაში ბევრჯერ დამდგარა ისეთი მომენტები, როცა მას საკუთარი თავი სარკეში აღარ მოსწონებია (სულ ერთისა და იმავეს ყურებაში ადამიანი ხომ აღქმის უნარს ჰკარგავს?!) და მაშინ, სასოწარკვეთილს, სარკის დამსხვრევა ანდა მისი სახლიდან მოშორება განუზრახავს, მაგრამ ამას მაინც ვერ აკეთებს – ვერაფრით ვერ ელევა თავის სარკეს... ნ.-ს ხომ ძალზე ენანება ის ნივთი, რომელიც მისთვის რელიქვიასავითაა...

ერთხელ კი, როცა მას საკუთარი თავი სარკეში ისევ აღარ მოეწონა, ერთი გამოსავალი იპოვა – ნ.-მ ნიღბების დამზადება დაიწყო (ქაღალდისგან, ხისგან, თაბაშირისგან) და მალე იმდენი ნიღაბი დააგროვა, რომ მთელი კოლექციაც კი შექმნა... და ამის შემდეგ ის სარკეში სულ ნიღაბაფა-

რებული იმზირება, დაუსრულებლად იცვლის ამ ნიღბებს დილას და საღამოს... ახლა უკვე ძალიან მოსწონს და უნიღბოდ ველარც კი წარმოუდგენია საკუთარი თავი(თანაც ის ერთფეროვანიც აღარ არის)... იმდენად, იმდენად მოსწონს, რომ ასე ჩათვალა, იქ, სარკის მიღმა თავისი გამოსახულება კი არა, არამედ ვიღაც სხვაა, უცნობი ქალი, რომელსაც სახელად ასევე ნ. ჰქვია... საუბრებიც კი წამოიწყო მასთან... ურთიერთობს ერთმანეთში ორი ნ.... ახლა ისინი მეგობრები არიან...

და ცხოვრობს ასე ქ-ნი ნ. იმ ილუზიით, რომ მასაც ჰყავს ნამდვილი მეგობარი, არა, თვითონ სარკე კი არა, არც მისი გამოსახულება ამ სარკეში, არამედ -ვიღაც სხვა... და ის, რომ ეს მეგობარი მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფია, ნ.-ს დიდი ხანია, გადაავიწყდა... (შესაძლოა, არც გადაავიწყდა...) უბრალოდ ასე უნდა, სჯეროდეს, რომ მარტო არ არის... მან საკუთარი თავი დაარწმუნა ამაში... მას ასე მოსწონს...

ოღონდ, ხანდახან, სულ მცირე დროით, ქ-ნი ნ. რეალისტი ხდება ხოლმე და თავის ანარეკლს სარკეში ასეთ რამეს ეუბნება:

– შენ არ არსებობ. შენ მხოლოდ ილუზია ხარ. საკმარისია, მოვისურვო, ეს სარკე ჩავამსხვრიო

და შენც მაშინვე გაქრები.

და მეორე ნ. მას ასე პასუხობს:

– დიახ, მე ილუზია ვარ და სულ ადვილია ჩემი გაქრობა, მაგრამ, განა, თქვენ, ადამიანები, ეს ე.წ. ფიზიკური პირები, თვითონ არა ხართ ილუზიები?!

რადგან, არსაიდან ჩნდებით და არსაით ქრებით. თქვენ ხომ უბრალოდ ერთმანეთის სარკეები ხართ და ერთმანეთის განადგურება ისევე ადვილად შეგიძლიათ, როგორც თავად სარკეებისა, საკმარისია, მოისურვოთ ეს.

და ამ სიტყვების შემდეგ დუმილი ჩამოვარდება ხოლმე...

მერე კი ნ. ისევ თავის ილუზორულ სამყაროს უბრუნდება...

P.S. რეალობაში არანაირი ქ-ნი ნ. არ არსებობს... ეს ისტორია ჩემი გამოგონილია... ამას მკითხველი, უთუოდ, მიხვდებოდა... მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ამქვეყნად მართლაც არსებობენ ადამიანები, რომლებიც ძალიან მაგონებენ ჩემს პერსონაჟს და ეს მოკლე ჩანახატიც სწორედ მათ ეძღვნება... ისინიც, ქ-ნი ნ.-სავით, არაამქვეყნიურ არსებებს ჰგვანან და მათ სუ-

ლებსაც უჭირთ არსებული რეალობის მიღება, ამიტომ თავშესაფარსა და შვებას თავიანთ ილუზიებში, ირეალურ სამყაროში პოულობენ და მხოლოდ ღმერთმა თუ იცის, რა საზღაურის გადახდა უწევთ მათ ამისათვის...

თუმცა, კაცმა რომ თქვას, რომელი უფრო ილუზორულია, სარკის აქეთ არსებული რეალობა თუ სარკისმიღმა, ირეალური სამყარო, ესეც საკითხავია...

2014 წ.

ის და მარტოობა

ადრე ეგონა, რომ ის მარტო არასდროს იყო, მან არ იცოდა, რა არის მარტოობა...

ერთხელ კი, როცა ძალიან გადაღალა ირგვლივ მყოფთა მონოტონური, ძალზე გაუცხოებული ფრაზების მოსმენამ, გადაწყვიტა მარტოობისთვის კარი თვითონ გაეღო, როცა მან კარზე დაუკაკუნა. თუმცა ვიზიტი მოულოდნელი არ ყოფილა, მაინც ეგონა, რომ მარტოობა მასთან

დიდხანს არ გაჩერდებოდა და სულ მალე დასტოვებდა. ის კი წლებია უკვე, რაც ჩაუსახლდა, ვით „ალალი ბიძაშვილი“. ქუჩაშიც ვერ გააგდებდა, ის ხომ, როგორც თოთო ბავშვი, ისე მიეკედლა მას. თავიდან ეცოდებოდა კიდეც, მაგრამ მარტოობამ ძალიან მოაბეზრა თავი. ბოლოს გადაწყვიტა-მე თვითონ წავალ სახლიდან და მარტოობას მარტო დავტოვებო. თუმცა, სადაც წავიდა, ის ყველგან თან გაჰყვა. მოკლედ, თავიდან ვერაფრით ვერ მოიშორა...

სხვა რა გზა იყო?! შეეგუა იმ აზრს, რომ მარტოობა მისი განუყრელი თანამგზავრი იქნებოდა და დაუმეგობრდა მას. ახლა უკვე ერთად უყურებენ ფილმებს, ერთად კითხულობენ რომანებს, ერთად სხედან კაფეში ის და მარტოობა. შეეჩვია კიდეც და იცით, ამის შემდეგ ის თითქოს მარტო აღარ არის, ჰყავს საუკეთესო მეგობარი-მარტოობა...

2013 წ.

ფიქრები სრულყოფილებაზე

ჩვენ ხომ ორივეს მოსჯილი გვაქვს განახევრება კაცად და ქალად... – ასე იწყება ერთი უცნობი ლექსი...

* * *

ამბობენ, ოდესღაც ქალი და მამაკაცი ერთი მთლიანი არსება იყოო... ვფიქრობ, სწორედ ამიტომ არის ადამიანი არასრულყოფილი... ამიტომ დაეძებს იგი გამუდმებით თავის მეორე ნახევარს, ურომლისოდაც სიცოცხლე, თითქოს, სისავსესაა მოკლებული... ამიტომ ელტვიან მუდმივად ქალი და მამაკაცი ერთმანეთს, რათა შეავსონ ერთმანეთი და თავი სრულყოფილ ერთარსებად იგრძნონ...

ჩემის აზრით, ცალ-ცალკე ქალი და მამაკაცი სამყაროს სრულყოფილად, სრულფასოვნად ვერასდროს ვერ აღიქვამენ... მგონია, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ იმ მომენტებში ხდება, როცა თვითოეული ადამიანი ერთდროულად ქალის თვალებითაც ხედავს და კაცის თვალებითაც, სწორედ მაშინ შეიძლება ჩაწვდეს იგი სამყაროს ნამდვილ არსს, მის თითქმის მიუწვდომელ ჰარმონიას... მაშინ, როცა სიყვარულია...როცა ორი არსება ერთმანეთს ერწყმის (რა თქმა უნდა, არა

მხოლოდ ფიზიკური გაგებით), როცა ისინი ქვეყნიერებას ერთმანეთის თვალებით ისიგრძეგანებენ... ქალი ამ სამყაროს საყვარელი მამაკაცის თვალებით უმზერს, კაცი კი საყვარელი ქალის თვალებით აღიქვამს ყოველივეს... ასე ხდება, როცა დედა საკუთარი ვაჟიშვილის თვალებით იმზირება, მამა – ქალიშვილის თვალებით... იგივე შეიძლება ითქვას უანგარო, მეგობრულ სიყვარულზე და ასევე მოყვასის სიყვარულზე...

სწორედ სიყვარული გვჩუქნის ბედნიერებას, აღვიქვათ სამყარო ისეთად, როგორიც არის – სრულყოფილად...

და კიდევ ერთი რამ გვანიჭებს ამ ბედნიერებას-ნამდვილი ხელოვნება... როდის? როცა მწერალი (მამაკაცი) თავის მიერვე გაცოცხლებული პერსონაჟი ქალის თვალებით დაინახავს, სწორედ ისე, როგორც გუსტავ ფლობერი ხედავდა სამყაროს მადამ ბოვარის თვალებით... გაბრიელ გარსია მარკესი – ამარანტას თვალებით...

როცა მხატვარი (მამაკაცი) ჯერ სულს შთაბერავს თავის მიერვე ტილოზე გამოსახული ქალის პორტრეტს და მერე მისი თვალებით დაინახავს... როგორც ტიციანი ხედავდა თავის მიერ შექმნილი ვენერას თვალებიდან... რემბრანდტი კი-სასკიას თვალებიდან...

როცა კინორეჟისორი ფედერიკო ფელინი ჟულიეტა მაზინას მიერ განსახიერებული პერსონაჟების თვალებით უმზერდა ამ ცხოვრებას...

ქალისა და მამაკაცის საწყისების ერთიანობა, მათი ჰარმონიული ურთიერთშერწყმა (არა მარტო ფიზიკური გაგებით) – აი, ეს არის ცხოვრების სისავსე, სრულყოფილება-ბედნიერება, რისი განცდაც, ალბათ, სულ რაღაც წამებშია შესაძლებელი...

ორი რამ გვანიჭებს ამქვეყნად სრულყოფილების განცდას-სიყვარული და ხელოვნება... მათ გარეშე კი ყოველივე ფუჭი მგონია ამ სამყაროში და ეს ცხოვრება, მართლაც, აღუვსებელ საწყაულს ემსგავსება...

ჩვენ ბედნიერების განცდა, ალბათ, მხოლოდ წამებით თუ გვეუფლება და მერე ვაგროვებთ ამ წამებს მთელი ცხოვრების განმავლობაში... მთლიანად ერთი საათი მაინც თუ გამოდის? მგონია, რომ არა, მაგრამ მაინც უნდა დავჯერდეთ ამ წამებს, დავტკბეთ მათით... ვფიქრობ, სწორედ ამაშია, „წუთისოფლის“-“წამისოფლის“ მთელი ფილოსოფიაც...

არ მეთანხმებით?..

2013 წ.

რეფლექსიები

რა უცნაური განცდაა, ალბათ, იმაზე ფიქრი, რომ შეიძლება ოდესმე შენი მიწიერი არსებობის ერთადერთი დასტური გახდეს მხოლოდ შენთვის ექსკლუზიურად მონიჭებული უსახელო ნომერი ან ე.წ. „LINK“-ი (ვინ იცის, რამდენი ციფრისა და ნიშნისაგან შემდგარი) ფიზიკურად უკვე აღარ არსებულთა მარადიულ და დაუსრულებელ სიაში– ე.წ. „კოსმოსის მონაცემთა ბაზაში“.

P.S. იქნებ უკვდავების ფენომენიც სწორედ ამაშია (ნომრის ან „LINK“-ის უნიკალურობაში)...

2014 წ.

კოლექციონერის ჩანაწერებიდან

ჩვენ, ადამიანები, შორს ვართ სრულყოფილებისგან, ჩვენ, შეიძლება ითქვას, განახევრებული არსებები ვართ, რადგანაც თითოეული ჩვენთაგანი, ცალკე აღებული, სისავსეს არის მოკლებული... ამიტომ ყველა ადამიანს აუცილებლად სჭირდება, გვერდით ჰყავდეს მეორე ადამიანი, რათა მათ, ორმა, შეავსონ ერთმანეთი და ამით

ორივეს დაეუფლოს სრულყოფილების განცდა (თუნდაც სულ მცირე დროით)...

დიახ, აუცილებლად გვჭირდება ვიღაც მეორე, მაგრამ ჩვენ, ადამიანები, ისე ვევლინებით ამ ქვეყანას, რომ არავინ გვასწავლის, როგორ უნდა სხვა ადამიანის გვერდით ცხოვრება, ანუ თანაარსებობა... არავინ გვასწავლის ამას არც ჩვენს დაბადებამდე და არც დაბადების შემდეგ...

თითოეული ჩვენთაგანი სახლობს და განაგრძობს არსებობას მარტოობის, ვიწრო, ძალიან ვიწრო საკანში გამოკეტილი (თუმცა ამ საკნის კარი ჩვენივე ნებით შიგნიდან გვაქვს ჩაკეტილი)...

ეს საკანი ჩვენი სახლია, – სულიერი თავშესაფარი (ყოველ შემთხვევაში ჩვენ ასე გვგონია)... იქ თითქოს სიმშვიდე და სიმყუდროვე სუფევს, მაგრამ ეს სიცარიელის სიმყუდროვეა... და ამ საკანში ისეთი სივიწროვეა, რომ წარმოუდგენელიც კია იქ ორი ადამიანის ერთად ყოფნა, თანაარსებობა, მაგრამ ზოგჯერ ვინმესთან ერთად ყოფნის სურვილი იმდენად ძლიერია, რომ საკანში მაინც ვუშვებთ ხოლმე მეორე ადამიანს... თავიდან გვსიამოვნებს ერთმანეთის გვერდით ყოფნა, გვგონია რომ შევეგუეთ კიდეც ამ სივრცის უკმარისობას და ის არც ისე აუტანელია,

მაგრამ ეს განცდა დროებითი და მოჩვენებითია... თანდათან ორი ადამიანის ერთად ყოფნა გაუსაძლისი ხდება, უჰაერობისგან თითქოს სული გვეხუთება... და უცებ ვაღებთ კარს და უკანმოუხედავად გამოვრბივართ გარეთ, უზარმაზარ, უკიდეგანო სივრცეში და თითქოს სულსაც ვითქვამთ... ვტკბებით ამ უსასრულო სივრცეში ჩვენი თავისუფლებით... ამ დროს ერთმანეთზე აღარ ვფიქრობთ და გზააბნეულები ერთმანეთს ვკარგავთ... ვკარგავთ საკუთარ სახლსაც (საკანს თუ თავშესაფარს, რაც გინდათ, ის უწოდეთ)... უკან დასაბრუნებელ გზას ველარ ვპოულობთ... მერე კი, როცა ერთმანეთი გაგვახსენდება, კვლავ ვიწყებთ ერთურთის ძებნას... დავეძებთ იმ მიტოვებულ თავშესაფარს(მარტოობის საკანს)... მაგრამ ამაოდ, რადგან ის სახლიცა და მისკენ მიმავალი გზაც აღარ არსებობს... ორივე მაშინ გაუჩინარდა, როცა სახლი მივატოვეთ...

და ასე დავეხეტებით თავისუფლები და მარტოობის ბორკილდადებულები...

* * *

თავისუფლება, რომელსაც ვერა და ვერ ველევით, გვიჭირს მისი დათმობა, და მარტოობა, რო-

მელსაც მუდმივად გავურბივართ, ვფიქრობ, ერთი მედლის ორ მხარეს წარმოადგენს და ეს მედალი – ჯილდო ერთდროულად შვებაცაა და ტვირთიც... თავისუფლება გაცნობიერებული მარტოობაა და მარტოობა – გაცნობიერებული თავისუფლება...

პირველი (თავისუფლება) სუნთქვის საშუალებას გაძლევს, ისე, ისე ღრმად სუნთქვის, რომ შეიძლება ამ დროს ფილტვები უსაშველოდ დაგებეროს, ტკივილამდეც კი დაგებეროს... და ეს ტკივილი – სიმსუბუქის რაღაც არამიწიერი განცდა – სიცოცხლის ნამდვილი შეგრძნებაა... ჰაერით უსაშველოდ დაბერილი ფილტვებით თითქოს ჰაერზე მსუბუქი ხდები, ბუმბულად იქცევი... არაამქვეყნიური არსება ხარ, რომლისთვისაც აღარ არსებობს არანაირი გრავიტაცია...

მედლის მეორე მხარე (მარტოობა) კი გისოსებით დახშული სივრცეა, ბორკილებია, ტვირთია, აუტანელი და უსაშველოდ მძიმე ტვირთი...

და ამ ტკბილ-მწარე შეგრძნებებით დავეხეტებით უკიდეგანო სივრცეში, ისევ დავეძებთ თავშესაფარს... ძველი სახლი (ძველი საკანი) გვენატრება, მაგრამ არა ის დრო, როცა მარტონი ვცხოვრობდით, არამედ ის დრო, როცა ორნი ვიყავით...

გვენატრება ის დახშული სივრცე, სუნთქვას რომ გვიკრავდა... მაშინ ხომ ჩვენი, ორი არსების ორი გული ერთ გულად იქცეოდა და იქიდან ენით აღუწერელი, ძალზე საამო სითბო იღვრებოდა, ჩვენს სულებს რომ ათბობდა და მალამოდ ედებოდა... სწორედ ეს სითბო გვენატრება... გარეთ კი როგორ ცივა! უსაშველოდ ცივა!.. ჩვენ ხომ საკუთარი თავის გათბობა არ შეგვიძლია, მხოლოდ ერთმანეთის გათბობა ძალგვიძს... და რაგინდ მხურვალე ცეცხლსაც არ უნდა მივეფიცხოთ, ისიც კი ვერ გაგვათბობს (მას ჩვენი დაფერფლა თუ შეუძლია მხოლოდ...), რადგან სინამდვილეში ჩვენს სხეულებს კი არა, ჩვენს სულებს სცივათ...

რა ტკბილი იყო იმ ვიწრო, მაგრამ თბილ საკანში ყოფნა... ალბათ, იმ მომენტში თავისუფლებაზე ტკბილი...

მაგრამ თუ მაინც მოხდა სასწაული და ვიპოვეთ კიდევ ერთი ახალი თავშესაფარი (სახლი, საკანი), რომელიც ისევ მხოლოდ ერთი ადამიანისთვის იქნება განკუთვნილი, ჩვენ ისევ შევუშვებთ შიგნით მეორე ადამიანს, მიუხედავად სივიწროვისა (რადგან ასეთები ვართ ჩვენ, ადამიანები – ყოველ მოცემულ მომენტში გვავიწყდება, რა

გვინდოდა გუშინ და მხოლოდ ის გვახსოვს, რა გვინდა ახლა)...

ისევ შეერწყმება ერთმანეთს ორი ნახევარგული, ისევ გადმოიღვრება სითბო... და მერე ძალიან მალე, სუნთქვაშეკრულებს, ისევ გაქცევა მოგვინდება, რადგან ეს დახშული სივრცე ისევ გაუსაძლისი გახდება...

გარეთ გაქცეულები და თავისუფლებას უკვე მერამდენედ ნაზიარებნი ისევ დავიწყებთ ხეტიალს უკიდეგანო სივრცეში ახალი თავშესაფარისა და ერთმანეთის ნატვრაში, ძიებაში... და ასე მთელი ცხოვრება...

* * *

ჩვენ, ადამიანებს, რატომღაც დაბადებისთანავე წილად გვარგუნებენ ერთ მედალს (სხვა მრავალ ჯილდოსთან ერთად), რომლის ერთი მხარე თავისუფლებაა, მეორე კი– მარტოობა... ნეტავი, რით დავიმსახურეთ ეს (საპატიო?) ჯილდო, ეს უმსუბუქესი და უმძიმესი ჯილდო?– აი კიდევ ერთი შეკითხვა ჩემი პასუხგაუცემელი შეკითხვების დაუსრულებელი კოლექციიდან...

2014 წ.

სიკვდილის გზა არრა არის...

როდის ხარ, ადამიანი, ბედნიერი? როცა მეშვიდე ცაზე იმყოფები? მაგრამ იქ ხომ დიდხანს ვერ გაჩერდები... მხოლოდ წამებით თუ გეუფლება ეს ამაღლებული განცდა, რადგან ასეა მოწყობილი ეს სამყარო... და იქიდან სულ ადვილად შეიძლება გადმოვარდე და დაიმსხვრე... ჭეშმარიტად ბედნიერი კი მხოლოდ ის არის, ვინც მეშვიდე ციდან არასდროს გადმოვარდნილა და არ დამსხვრეულა... არც თვითონ და არც მისი სამყარო, არამედ ის ყოველთვის ისე ნელა, ისე ბუმბულივით ეშვება ხოლმე ციდან დედამიწაზე, რომ ამას ვერც კი ამჩნევს... ის, ვინც ამ მიწიერ ყოფაშიც ირგვლივ ყოველივეს ვარდისფერ ფერებში ხედავს და ეს რომანტიული ხედვა მისი მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება... ვისთვისაც სიცოცხლე თავად არის სასწაული და სიკვდილიც მისთვის სიცოცხლის გაგრძელებაა მხოლოდ... ამიტომ მასაც გალაკტიონივით შეუძლია თქვას, რომ „სიკვდილის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდა...“

ნუთუ მართლა არსებობენ ასეთი ბედნიერი ადამიანები? ხომ ამბობენ, ეს ცხოვრება აღუვ-

სებელი საწყაულიაო მხოლოდ... და მისგან დამ-
სხვრეული ოცნებებისა და ილუზიების გარდა
არაფერი რჩებაო... და ადამიანებს ბავშვობის
შემდეგ სასწაულების აღარ სჯერათ... ბევრის-
თვის ასეა, მაგრამ არა მათთვის, ვინც სასწაულს
მთელი ცხოვრება მოელის და სწამს, რომ ეს სას-
წაული თუ მის სიცოცხლეში არა, სიკვდილის
შემდეგ მაინც მოხდება... და ის უკვე ამით არის
ბედნიერი... და სასწაულები ზოგჯერ მართლაც
ხდება...თუმცა ზოგჯერ არც ხდება, მაგრამ ბედ-
ნიერებაც ხომ სწორედ იმაშია, რომ გწამს და
გჯერა... ალბათ, თვით გალაკტიონსაც სჯეროდა
და მაშინ, როცა სიკვდილის წინ სარკმელს აღებ-
და გადასახტომად, ასე ფიქრობდა-გავფრინდე-
ბიო ვარდისფერი გზით ვარდისფერ ცაში...

და თუ, მართლაც – "სიკვდილის გზა არრა
არის ვარდისფერ გზის გარდა..." – უკვდავების
გზის გარდა, ჩვენ ყველანი მარადისობის თანა-
ზიარნი ვყოფილვართ... მაშინ ამქვეყნად არსე-
ბობა-სიცოცხლე და მისი თანმდევი სიკვდილიც
თავისთავად უკვე სასწაულია...

2014 წ.

ნუთუ ასე ძნელია, იყო ბედნიერი?...

„მე ვარ სამყაროს ცენტრი!“ – ალბათ, ყველასთვის ნაცნობია ეს, ცოტა არ იყოს, ოდიოზური გამონათქვამი და, საკმარისია, ვინმემ იგი სრული სერიოზულობით წარმოთქვას, რომ ის პიროვნება მაშინვე ირგვლივ მყოფთა დაცინვის საგნად გადაიგცევა...და, რბილად რომ ვთქვათ, მას არაადექვატურ ადამიანად ჩათვლიან...

„მე ვარ სამყაროს ცენტრი!“ – მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ჩემთვის ამ ფრაზაში არის ჭეშმარიტების რაღაც მარცვალი, რადგან ყოველი ადამიანი, გარკვეული გაგებით, მართლაც სამყაროს ცენტრს წარმოადგენს... ცენტრს იმ სამყაროსი, რომელსაც თავად ქმნის (ხედავს ანუ ქმნის)...

და სინამდვილეში სამყაროების რაოდენობა უსასრულოა...ისევე უსასრულო, როგორც ამ ქვეყანაზე უკვე მოვლენილ და ჯერ კიდევ მოსავლენ ადამიანთა რიცხვი,.. რამეთუ, იბადება რა, ადამიანი თვალის ახელისთანავე, სიცოცხლის პირველივე წამებიდანვე სამყაროს ისეთს ხედავს, ისეთ ფერებში, როგორადაც მხოლოდ ამ ერთ კონკრეტულ ადამიანს შეუძლია დაინახოს

მისი უნიკალური თვალთახედვის-თვალების წყალობით, რომლებიც ერთგვარ პრიზმებს (ბროლის პრიზმებს) მოგვაგონებს... და თითოეული ადამიანის პრიზმა განუმეორებელია თავისი აგებულებით...

და რაც უფრო რთული აგებულებისაა ეს პრიზმები, რაც უფრო მრავალწახნაგოვანია შინაგანად, რაც უფრო თვალისმომჭრელია, მით უფრო ღრმაა და საინტერესოა თავად ეს ადამიანიც და ასეთივეა მისი მრავლისმეტყველი თვალებიდან-პრიზმებიდან-დანახული სამყაროც...

დიახ, განუმეორებელია ყოველი კონკრეტული ადამიანის სამყარო – მის მიერვე შექმნილი სამყარო, რამეთუ თავად ეს ადამიანი არის უნიკალური...

რა ბედნიერებაა, ხედავდე ცას, ბალახს, ნაკადულს ისეთს, როგორიც მხოლოდ შენ, ერთადერთს, შეგიძლია დაინახო!...

რა ბედნიერებაა, ყოველ მომენტში ხედავდე ახლებურად, რადგან შენ, ადამიანი, ყოველ წუთსა და წამს იცვლები... აღარ ხარ ის, ვინც იყავი გუშინ, თუნდაც ერთი წუთის წინ... შესაბამისად იცვლება შენი ხედვაც, შენი სამყაროც (ეს სამყარო)...

რა ბედნიერებაა, ყოველ მომენტში ხედავდე ახლებურად, ყოველთვის შეგეძლოს გაოცება, სწორედ ისე, როგორც ეს შეუძლია პატარა ბავშვს, როცა ის ახალ რაღაცას დაინახავს...

და ჩვენც, ზრდასრული ადამიანები, სინამდვილეში ხომ ჩვენც ბავშვები ვართ... ის „უმანკო ბავშვები“, რომელთა არსებობა, შესაძლოა, აღარც კი გვახსოვს, რადგან უკვე დიდი ხანია, ისინი საკუთარ წიაღში, სადღაც ბნელ კუნჭულში გვყავს გადამალული, სხეულის რაღაც უხილავ გარსში გახვეული ისე, ისე ღრმად, რომ ლამისაა დავახრჩოთ ეს საბრალო არსებები...

და თითოელი ჩვენთაგანი ფაქტიურად (ასაკისდამიუხედავად) მაინც იმ „გულუბრყვილო ბავშვად“ რჩება, ერთი ძალიან ცნობილი მწერლის, ერთ ძალზე საოცარ პერსონაჟს „იდიოტს“რომ წააგავს, ანდა საბრალო და ცოტა უცნაურ ჯელსომინას რომ მოგვაგონებს ფელინის ერთი ფილმიდან... ყოველ ადამიანში ხომ სწორედ ისეთივე ბავშვი იმალება, გაბრიელ გარსია მარკესის მიერ გაცოცხლებული(სულ მცირე დროით გაცოცხლებული) ნაჭრის თოჯინასავით რომ აოცებს, ახარებს ირგვლივ ყველაფერი,.. მან, ჩვენგან განსხვავებით, იცის, თუ როგორ შეიძლება სულ

უმნიშვნელო (ჩვენთვის უმნიშვნელო) რაღაცითაც იყო ბედნიერი და თუნდაც შოკოლადის ნაყინის ხსენებაზე განიცადო ის დიდი სიხარული, რასაც ნამდვილი ბედნიერება ანუ არსებობის ბედნიერება ჰქვია...

და ჩვენ, ზრდასრულ ადამიანებს, სულ გვავიწყდება, რომ ჩვენც ბავშვები ვართ-დიდი ბავშვები... ანდა, შესაძლოა, არც გვავიწყდება, უბრალოდ გამუდმებით გავურბივართ მათ,... ვსჯით,... ვმალავთ (თუ ვემალებით?) ჩვენს ე.წ. „პერსონებში“...

გვინდა, ჩავკეტოთ,... ზოგჯერ საერთოდ გავაქროთ,... მოვკლათ კიდეც... არ გვინდა, (არაფრისდიდებით) საკუთარი თავი ამ „ბედნიერ არსებებთან“ გავაიგივოთ...

რატომ?... გვეშინია და იმიტომ... რატომ გვეშინია?...

ხომ, შეიძლება, ეს „არსება“ უცებ შენი სხეულიდან ამოხტეს და შენს „პერსონას“ (პატივსაცემს?) მთლიანად დაეუფლოს, საკუთარ თავზე კონტროლი სულ დაგაკარგინოს და ამის შედეგად, „იდიოტისა“ არ იყოს, სხვების დაცინვის საგნად გადაიქცე...

გეშინია, ო, როგორ გეშინია ამის!..

არადა, სწორედ ამ „უმანკო არსების“ წყალობით გაქვს შენ, ადამიანს, საკუთარი თვალთახდვა, უნიკალური პრიზმები-ფერთა აღქმის განუმეორებელი უნარი...

და ამ ხედვის გარეშე, ხომ, მთელი სამყარო, ყველაფერი ირგვლივ ერთფეროვანი და მხოლოდ ნაცრისფერი ხდება...

ალბათ, ამიტომ არის, რომ აღარ გეუფლება ნამდვილი ბედნიერების (არსებობის ბედნიერების) განცდა...

* * *

ამ თემასთან დაკავშირებით მინდოდა, თქვენთვის მომეთხრო ერთი ცნობილი ქალბატონის, მარტოსული ნ.-ს შესახებ. თუმცა, მე ამ პიროვნებას პირადად არ ვიცნობ, ჩემი თვალით არასდროს მინახავს, მასზე ბევრი არაფერი ვიცი, წარმოდგენაც კი არ მაქვს, რა ასაკისაა (მიახლოებითაც კი)... უბრალოდ, როგორც მიამბეს, ნ. ჯერ კიდევ მარტო ცხოვრობს... და ისიც გავიგე, რომ მან საკუთარ თავში დიდი ხანია, გადამალა და დასჯილი ჰყავს ის არსება-ბავშვი, ვისი თვალებითაც მოევლინა ნ. ამ ქვეყანას და ვისი თვალებითაც დაინახა მან ეს სამყარო...

ნ.-ს ძალიან ეშინია ამ „ბავშვის“... მიზეზი კი, ალბათ, ისევ ის არის – არ გახდეს ნ. (არაფრისდიდებით არ გახდეს) ირგვლივ მყოფთა (შესაძლოა საკუთარი „პერსონისაც“) დაცინვის საგანი...

დაცინვის კი მას ისე ეშინია!.. ო, როგორ ეშინია!...

მთავარი კი ამ ყველაფერში ის მგონია, რომ ქალბატონი ნ. არ არის ბედნიერი და არც არასოდეს ყოფილა (თუ არ ჩავთვლით მის ბავშვობას)... მისთვის ირგვლივ ყველაფერი ნაცრისფერია, ერთფეროვანი (ანუ ერთი ფერის)...

და იცით, რა? მისთვის ერთი ფერისაა არა მხოლოდ საგნები, ყველა სულიერი და მათ შორის „ადამიანებიც“ ნაცრისფერია...

და ქალბატონი ნ.-ს აღარ აინტერესებს (აშინებს კიდეც) ნაცრისფერი ადამიანები... ისინი მისთვის უცხონი გახდნენ...

და ამიტომ სურათების ჩარჩოები, რომლებითაც სავსეა მისი ოთახის კედლები (ნ.-ს უყვარს დეკორატიული ჩარჩოების შეგროვება), ცარიელია... რადგან მან არ იცის, ვისი თუ რისი სურათები ან ფოტოები მოათავსოს მათში...

სწორედ ამიტომ, როცა ნ. დაუყვება ხოლმე საკუთარი ოთახის (საკმაოდ დიდი მოცულობის

ოთახის) კედლებს და ათვალიერებს ჩარჩოებს, უნდა თავის წარმოდგენაში მაინც გააცოცხლოს ფერადი, განსხვავებული სახეები, მაგრამ ამაოდ, ვერაფერი გამოსდის...

და რადგან საერთოდ ადამიანები ნ.-სთვის უცხონი არიან, ყველა შემხვედრს-ნაცნობს თუ უცნობს, დიდს თუ პატარას ეს ქალბატონი მხოლოდ „თქვენობით“ მიმართავს („თქვენობით“ ანუ ოფიციალურად)... თვით იმ მეზობლის ექვსი წლის გოგონასაც, სულ ნაჭრის თოჯინა რომ ჰყავს გულზე მიხუტებული, მასაც „თქვენობით“ მიმართავს, მაშინ, როცა პატარა ნ.-ს კარზე მიუკაკუნებს ხოლმე და ასე ესალმება-

– გამარჯობა, ნ.! როგორ ხარ? არ მოგენატრე?

ის კი პასუხობს:

– კარგად, გოგონა. და თქვენ? თქვენ როგორ ბრძანდებით? ოღონდ არ გვინდა ფამილიარობა!..

– რაა? არ მესმის, რას ამბობ... შეიძლება, შენთან შემოვიდე? მე ხომ სულ მარტო ვარ, ამ უზარმაზარ სახლში ჩემს გარდა სხვა ბავშვები არ ცხოვრობენ და არ ვიცი, ვის ვეთამაშო...

– კარგი, შემობრძანდით, გეთაყვა.

– ხომ მეთამაშები? –

პასუხი კი ყოველთვის ასეთია:

– არა, რადგან არ მცალია. თქვენ შეგიძლიათ დაათვალიეროთ ჩემი ჩარჩოების კოლექცია, მაგრამ ძალიან გთხოვთ, ხელს ნურაფერს ახლებთ!

– არა, ნ., არ მინდა შენი ცარიელი ჩარჩოების დათვალიერება, მერამდენედ უნდა ვნახო, უკვე მომბეზრდა.

აი, დაახლოვებით ასეთი ხანმოკლე დიალოგი იმართება მათ შორის... არადა, ნ. არც ისეთი მოუცლელია. მოუცლელობას უბრალოდ იმიზეზებს. გოგონა მაინც შემოდის და მაინც ათვალიერებს ჩარჩოებს... ნ. კი მას არაფრის დიდებით არ ეთამაშება... ალბათ, ეშინია, რადგან ხომ შეიძლება, მას თამაშის დროს გოგონასთან დამეგობრება მოუნდეს და მერე უცებ მისი სხეულიდან ის „ჩაკეტილილი ბავშვი“ ამოხტეს და მთლიანად დაეუფლოს ნ.-ს პიროვნებას, („პერსონას“).

ეშინია, ო, როგორ ეშინია ნ.-ს ამის!

ნ.-ს სახლში თავის მიერ შექმნილი ნიღბების კოლექციაც აქვს (ქაღალდისგან, ხისგან, თაბაშირისგან დამზადებული) და იგი სარკეში ნიღბების გარეშე საერთოდ არ იხედება,... თავისი ნამდვილი სახის დანახვას გაურბის და ეშინია, რადგან გრძნობს, რომ ისიც უცხო აღმოჩნდება

მისთვის...

ეშინია, ო, როგორ ეშინია ნ.-ს ამის!

ეს ქალბატონი სარკეში არა მარტო საკუთარი სახის, თავისი შიშველი სხეულის დანახვასაც არიდებს თავს და ამიტომ არასდროს შიშვლდება სარკის წინ... ალბათ, ფიქრობს, ხომ შეიძლება, მის სხეულს შემთხვევით ტანსაცმელთან ერთად კანიც აჰყვეს, აეგლიჯოს და ამით მხოლოდ სხეული კი არა, სულიც გაუშიშვლდეს – მის „პერსონაში“ დამალული სული, ის „გულუბრყვილო ბავშვი“, ვისიც ასე ეშინია ნ.-ს...

ეშინია, ო, როგორ ეშინია!...

ნ.-ს ხშირად საერთოდ ავიწყდება თავის წიაღში ჩაკეტილი არსების შესახებ (ანდა იქნებ არც ავიწყდება) და უბრალოდ უნდა იყოს ის, ვინც ჰგონია საკუთარი თავი – „პერსონა“ სახელად ნ., რომელიც ძალიან ამაყობს თავისი კოლექციებით...

და როცა მას, მარტოსულს, მარტოობის სევდა შემოაწვება ხოლმე, გონებაში ხანდახან მაინც ამოუტივტივდება ფიქრები იმ „დასჯილ ბავშვზე“ და უნდა, ცხადად წარმოიდგინოს, როგორია ის... ეს არსება მას, რატომღაც, იმ მახინჯი იხვის ჭუჭულს აგონებს, ჰ. ქ. ანდერსენმა რომ აღწერა თა-

ვის ერთ ცნობილ ზღაპარში და რომლის შესახებაც დედა ხშირად უყვებოდა ნ.-ს ბავშვობაში, ასე ხუთი-ექვსი წლის ასაკში...

და ამიტომ ნ.-ს ჰგონია, რომ ის „ჩაკეტილი ბავშვიც“ იმ იხვის ჭუჭულივით მახინჯი და უშნოა,.. სცხვენია მისი... ამიტომაც მალავს მას ასე მონდომებით... თუმცა რა იცის ნ.-მ, რომ, შესაძლოა, ის ე.წ. „მახინჯი იხვის ჭუჭული“, უკვე დიდი ხანია, რაც ლამაზ, თეთრ „გედად“ არის ქცეული... მაგრამ საიდან გაიგებს ამას ქალბატონი ნ.? ის ხომ საკუთარ თავს ვერასდროს ხედავს ვერც სარკეში და ვერც სხვა ადამიანთა თვალებში,... ვერ ხედავს გაშიშვლებულს, ისეთს, როგორიც სინამდვილეშია...

P.S. და ადამიანები, რომლებიც განუწყვეტლივ ერთფეროვნებაში ცხოვრობენ, ყველასა და ყველაფერს ნაცრისფერში ხედავენ, ახრჩობთ ეს მოსაწყენი, აუტანელი რეალობა, მისგან გაქცევა უნდათ ანდა მისი სრულიად შეცვლა, მაგრამ ამაოა ყველა მათი მცდელობა... და ნუთუ ვერ ხვდებიან (თუ არ უნდათ, იცოდნენ?), რომ პრობლემა მხოლოდ საკუთარ თავშია, თვალებშია, „დაბინდულ პრიზმებშია“, იმ გულუბრყვი-

ლო, (ზოგჯერ სასაცილო) არსებებშია, ასე რომ აშინებთ ადამიანებს?...

და ნუთუ ასე ძნელია, უბრალოდ, აღიარო, რომ შენ, ადამიანი, ცოტათი ჩამოჰგავხარ „იდიოტს“, ცოტათი-ჯელსომინას, ცოტათი-მარკესის „ნაჭრის თოჯინას“ ცოტათი კი – „მეზობლის ექვსი წლის გოგონას“, იმისათვის, რომ გადაიქცე ბედნიერ, სრულიად ბედნიერ არსებად?...

და საკუთარ თავს ხომ ისედაც ვერასდროს ვერ გაექცევი!...

აი, ამის თქმა მინდოდა...

2015 წ.

სარჩევი

კონგენიალურობის მისტერია-2 ----------6
* * *----------6
რეალისტური ფანტასმაგორიები-3----------7
რეალისტური ფანტასმაგორიები-2----------8
სცენები არშემდგარი პიესებიდან----------9
მე ისევ მიხმობს ლურჯი მდინარე ---------- 10
ალუზიები-2---------- 11
ინსცენირებები „POSTMODERN“ -ის სტილში------- 11
ვირტუალური ასოციაციები ---------- 12
„POSTMODERN“-ისტული ქრონიკებიდან ---------- 13
მე მებრალება ის ნაზი ტოტი ---------- 14
ერთგულთა ღამეს ---------- 15
სცენები აბსურდების თეატრიდან ---------- 16
ყინვა კვლავ ცვლიდა დეკორაციებს---------- 17
ცარიელი დღიურებიდან ---------- 18
* * *---------- 18
რეალისტური ფანტასმაგორიები-4---------- 19
ნიღბების კოლექციონერი ---------- 21
ნისლი განგიქარვებს... ---------- 22
ალუზიები ---------- 22
და წარმავლობის გამჭვირვალე ფერთა გამებში...-- 23
რემინისცენციები ---------- 24
დაუსრულებელი „NOCTURNE“ -ებიდან---------- 25
ჰიპერტროფირებული ატროფია ---------- 26
რეინკარნაციების გადაკვეთაზე---------- 26
აბსურდების კორიანტელი ---------- 27

თოვლის პრელუდია ---------- 28
თეთრისა და შავის ექსცენტრიული „გრადაციები“- 29
ჩემი დასაწყისის დასაწყისი ---------- 30
ცარიელი დღიურებიდან-3 ---------- 30
კონგენიალურობის მისტერია-1 ---------- 31
* * *---------- 32
რეალისტური ფანტასმაგორიები ---------- 32
ერთი მსახიობის თეატრის შესახებ---------- 33
კლინიკური სურათი № N---------- 35
კონგენიალურობის მისტერია---------- 35
* * *---------- 36
ილუზიაა ბნელი სიფხიზლე ---------- 37
* * *---------- 38
* * *---------- 38
მოლოდინი ---------- 39
ბროწეული ---------- 40
* * *---------- 41
არშემდგარი არჩევანი ---------- 41
ცოტა რამ ჩემი „იდენტობის“ შესახებ ---------- 42
იძულებითი რეანიმაცია ---------- 43
არმოლოდინი---------- 43
* * *---------- 44
* * *---------- 44
ზღვარზე---------- 45
* * *---------- 45
დაწყევლილი ცნობიერება---------- 46
რეფლექსიები ---------- 46
ჩემი პალიტრა---------- 47

ТО ПРИЗРАЧНОСТЬ
ПРОЗРАЧНО ЛЬЕТСЯ С НЕБО... ---------- 47
В СОЗВУЧИИ С ТИШИНОЙ... ---------- 48
* * *---------- 48
ცარიელი დღიურებიდან-2 ---------- 49
ღამის მეტამორფოზები---------- 49
რეფლექსიები ---------- 50
* * *---------- 50
* * *---------- 51
* * *---------- 51
* * *---------- 52
მეტამორფოზები -2 ---------- 52
ვივისექცია---------- 53
პოსტმოდერნისტული რეფლექსიები -1---------- 53
რეფლექსიები ---------- 54
სიზმრის მისტერია-2 ---------- 54
* * *---------- 55
* * *---------- 56
რეფლექსიები ---------- 56
პოსტმოდერნისტული რეფლექსიები-2---------- 57
ინიციაცია № N---------- 57
კლინიკური სურათი №2 ---------- 58
რეინკარნაციისწინა ხილვები ---------- 58
მისტერიები „POSTMODERN“-ისტული
ქრონიკებიდან ---------- 61
მონატრება ---------- 61
პოზიტიური ნეგაციები---------- 62
ეპოქის სიზმარს არ აქვს ფერები ---------- 63

სარკის ინიციაცია № N---------- 64
სიზმრის მისტერია ---------- 64
რეფლექსიები ---------- 65
* * *---------- 66
რეინკარნაციისწინა ხილვები ---------- 66
ღამის პრელუდია ---------- 67
დაუმთავრებელი ეტიუდი ---------- 68
მონატრება ---------- 68
ძლიერთა ამა ქვეყნისათა---------- 69
* * *---------- 69
* * *---------- 70
* * *---------- 70
დაბრუნება---------- 71
ძველი ზარდახშა ---------- 71
ეპილოგი ---------- 73
* * *---------- 74
მთვარის სიზმარი ---------- 75

პროზაული ჩანახატები

სიზმარი---------- 76
ნიღბების კოლექციონერი---------- 79
ის და მარტოობა ---------- 85
ფიქრები სრულყოფილებაზე ---------- 87
რეფლექსიები ---------- 90
კოლექციონერის ჩანაწერებიდან ---------- 91
სიკვდილის გზა არრა არის... ---------- 97
ნუთუ ასე ძნელია, იყო ბედნიერი?... ---------- 99

ირმა თხინვალელი:
რეალისტური ფანტასმაგორიები
ლექსები და ჩანახატები

გამომცემლობა „ივერიონი“.
თბილისი, კოსტავას 6, III სართ.
ტელ: 293-53-22.